



სსდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი მიულოცა ქალბატონებს და ბედნიერ დღეთა სიმრავლე უსურვა მათ.

7 მარტი, საქართველოს
ეროვნული გმირის, ჟიული
შარტავას დაბადების დღეა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, 1995 წლის ივნისში, ინგლისში, კენტერბერიის მთავარეპისკოპოს ჯორჯ კერისთან და საზოგადოებასთან შეხვედრისას წარმოთქვა: „ერთ მაგალითს გიამბობთ აფხაზეთში მომხდარი მოვლე-

ნებიდან. იმ პერიოდში, ამ რეგიონის ხელმძღვანელად დაინიშნა ბატონი ჟიული შარტავა. ადრე ის იყო კომკავშირის ცეკას მდივანი, რუსთავის მერი. კომუნისტური რეჟიმის დროს, შარტავა ეკლესიური არ ყოფილა, მაგრამ, შემდეგ თანდათან დაუახლოვდა ტაძარს და ღრმად-ღრმად მოწმუნე გახდა. სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ-ერთი მიტროპოლიტი ჩავიდა ამ ქალაქში და ბატონი ჟიული (დავითი – ასე უწოდებდნენ მას ეკლესიურად) მოინახულა. ეს მეუფე შემდეგ იხსენებდა: მარტო რომ დავრჩით ოთახში, ჟიული ხატებთან მივიდა და უფალს გულმხურვალედ შესთხოვა: ღმერთო, ყველას ნაცვლად მე დამსაჯეოლონდ, სამშობლო გადამირჩინეო. სამი დღის შემდეგ, სოხუმი ექსტრემისტებმა დაიკავეს, ჟიული ტყვედ აიყვანეს და იმავე დღეს წამებით მოკლეს. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ჩემს სახელზე საპატრიარქოში უცნობი ავტორის წერილი მოვიდა. ავტორმა არ იცოდა, რომ, პიროვნება, ვის შესახებაც წერდა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. რუსულად დაწერილ წერილში ეწერა: „ჩვენ არ ვიცოდით, ვის ვესროდით, მაგრამ, ერთი კია – გამაოცა ამ კაცის შეუდრეკელობამ, უშიშრობამ, სიმამაცემ, სამშობლოს ამგვარმა სიყვარულმა. მისი სახელი ასანთის კოლოფზე დაწვერე, რათა იცოდეთ, როგორი გმირები ჰყავს საქართველოს. და თუ საქართველოს თუნდაც ერთი ადამიანი ჰყავს ასეთი, იმ ქვეყანას გადაშენება არ უწერია“. ეს ბარათი მომწერა კაცმა, რომელიც მტრის ბანაკში იბრძოდა და



ჟიული შარტაგა აფხაზეთში შეი-
არაღებული კონფლიქტის დროს,
1993 წლის ივნისში, საქართველოს
სახელმწიფოს მეთაურის განკარგუ-
ლებით დაინიშნა აფხაზეთის ავტო-
ნომიური რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოსა და აფხაზეთის თავდაცვის
საბჭოს თავმჯდომარედ. 1993 წლის
27 სექტემბერს უშუალოდ
ხელმძღვანელობდა მთავრობის
სახლის დაცვის ოპერაციას, რომ-
ლის დროსაც აფხაზურმა სეპარა-
ტიზტულმა დაჯგუფებამ თანა-
მებრძოლებთან ერთად ტყვედ აიყვა-
ნა და დახვრიტა. მოგვიანებით, ჟიუ-
ლი შარტაგას ცხედარი ქართულ
მხარეს გადაეცა. დაკრძალულია
თბილისში, ვაკის პანთეონ-
ში. 2004 წელს, სიკვდილის შემდეგ,
დაჯილდოვდა ეროვნული გმირის
ორდენით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები რეზიონებს ხშირად უნდა სტუმრობდნენ



საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად უნდა სტუმრობდნენ რეგიონებს, ესაუბრობდნენ ხალხს და ადგილზე ეცნობოდნენ სიტუაციას.

ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სტუმრობისას განაცხადა.

„ჩვენ ძალიან ბევრს ვივლით რეგიონებში, იმიტომ რომ ქალაქიდან შეიძლება ძალიან ბევრი რამ სხვანაირად ჩანდეს. ადამიანებს როცა ხვდები, ესაუბრები, მათი პრობლემების შესახებ ისმენ, სხვანაირი შეგრძნება ჩნდება თვითონ მთავრობის წარმომადგენლებში.“

ისინი უფრო მეტად ითავისებენ იმას, თუ რა არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი, “განაცხადა პრემიერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

გიორგი კვირიკაშვილმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პოტენციალზე ისაუბრა და სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მნიშვნელობა შეაფასა.

„დღეს ჩვენ მოვინახულეთ სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე მიკროსაწარმო, ასევე შეღავათიანი აგროკრედიტით დაფუძნებული ერთ-ერთი საწარმო. ვიმყოფებით ჩუქურთმების საწარმოში, რომელიც ასევე მიკროკრედიტით შეიქმნა. დაწყებულია საფარის მონასტერთან მისასვლელი გზის აღდგენა, რაც ძალიან კარგია მომლოცველებისთვის, ტურისტებისთვის და მთლიანად რეგიონისთვის“ – აღნიშნა პრემიერმა.

მისივე ინფორმაციით, ბორჯომში ახალი, „ინტერკონტინენტალის“ ჯგუფის სასტუმრო იხსნება, რომლის მშენებლობაში 32 მილიონი დო-

ლარის ინვესტიცია ჩაიდო.

„სასტუმროში 150 ადამიანი მუშაობს უკვე, მშენებლობის დროს 250 იყო დასაქმებული და მათი 95% არის ადგილობრივი მცხოვრებელი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ხდება ადამიანების გადამზადება და საერთოდ, მგონია, რომ ამ რეგიონს აქვს განსაკუთრებულად დიდი პოტენციალი. ბორჯომი არის უნიკალური კურორტი, რომლის განვითარების პერსპექტივა არის უზარმაზარი და ჩვენ აუცილებლად განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მას. ბორჯომი და ბაკურიანი კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს. ეს სასტუმროები, რომლებიც ბორჯომში იხსნება, ფაქტობრივად მიეზმება როგორც ბორჯომის კომპლექსებს, ასევე ბაკურიანის კომპლექსებს,“ – განმარტა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, ქუთაისიდან აბასთუმანის მიმართულებით პირდაპირი გზა აშენდება, რაც სამცხე-ჯავახეთს ქუთაისის აეროპორტთან დააკავშირებს.

„აფხაზებს, ოსებს და ქართველებს, საბოლოო ჯამში ერთად მოუწევთ თხოვნა“



ამერიკის კარიერული ელჩის, ტომას პიკერინგის განცხადებით, საქართველოს დღევანდელი დანაწევრება დროებითია და აფხაზებს, ოსებს და ქართველებს, საბოლოო ჯამში, ცხოვრება ერთად მოუწევთ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის შეფასებით, თუ ქართველები, აფხაზები და ოსები ერთად არ იქნებიან, ისინი ცალ-ცალკე უკუსვლის გზას დაადგებიან.

ელჩმა „ამერიკის ხმის“ ქართულ ბიუროს განუცხადა, რომ საქართველომ აფხაზებს და ოსებს ალტერნატივა უნდა შესთავაზოს.

„საქართველომ აფხაზებს და ოსებს ალტერნატივა უნდა შესთავაზოს-ეკონომიკური და ლინგვისტური ალტერნატივები. ჩემი აზრით, საქართველოს დღევანდელი დანაწევრება დროებითია და აფხაზებს, ოსებს და ქართველებს საბოლოო ჯამში ერთად მოუწევთ ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ცალ-ცალკე უკუსვლის გზას დაადგებიან. საქართველოს გაერთიანება, ჩემი აზრით, ქართველების სტრატეგიული მიზანია. მაგრამ ეს სამხედრო ძალით არ მოხდება. საქართველომ ხალხს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში უნდა დაანახოს, რომ მათთვის ნამდვილი ალტერნატივა თბილისია და არა მოსკოვი“, – აცხადებს პიკერინგი.

„საქართველოს მთავრობამ. ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის საუკეთესო პირობები უზრუნველყო“



საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის შეფასებით, საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის უწყვეტი გაზომარაგებისა და ენერგოუსაფრთხოებისთვის, საუკეთესო პირობები უზრუნველყო.

მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, საქართველოს სტაბილური გაზომარაგებისთვის, ხელისუფლებამ წარმატებული მოლაპარაკებები აწარმოა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო.

„საქართველოს მთავრობის მიზანია, უზრუნველყოს ქვეყნის უწყვეტი და სტაბილური გაზომარაგება, რასაც პრობლემა შეექმნა ქვეყანაში გაზრდილი მოხმარების გამო ბოლო პერიოდის განმავლობაში. ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულმა ღია და ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი გამოიღო. ჩვენს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ, აზერბაიჯანულ მხარესთან ერთად, გამოინახა დამატებითი საშუალებები საქართველოსთვის ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობების მოწოდების-

თვის და დეფიციტის შესავსებად, კარგი პირობებით. ამ საკითხზე საბოლოო შეთანხმება უკვე შედგა, რაც პირადი ხელმოწერებით დადასტურეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტმა გასულ კვირას“, – განაცხადა ჯანელიძემ.

რაც შეეხება კომპანია „გაზპრომს“, ჯანელიძის თქმით, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რუსეთიდან სომხეთში საქართველოს მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურით, ტრანზიტის ხელშეკრულების გაგრძელების პირობების შესახებ, რაც ჩვეულებრივად ყოველი წლის ბოლოს ხდება.

„კომპანია „სოკართან“ მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, აღარ დგას „გაზპრომ ექსპორტი“-დან დამატებითი მოცულობების შესყიდვის საჭიროება. შესაბამისად, ტრანზიტის ხელშეკრულების არსებული პირობებით გაგრძელების შესახებაც შედგა შეთანხმება და მას ხელი უახლოეს დღეებში მოეწერება. საქართველო, სომხეთში ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის საფასურს კვლავ ნედლეულის სახით მიიღებს და „გაზპრომ ექსპორტისგან“ დამატებითი მოცულობების შესყიდვის საჭიროების საკითხიც მოხსნილია. მიღწეული შეთანხმებების შედეგად, საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის უწყვეტი გაზომარაგებისთვის და ენერგოუსაფრთხოებისთვის საუკეთესო პირობები უზრუნველყო“, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

კვირიკაშვილი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს დიალოგის მუდმივმოქმედ ფორმატს სთავაზობს

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ბიზნესის წარმომადგენლების პრობლემებს მთავრობის ხელმძღვანელს გააცნობს.

აღნიშნულის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„გვინდა, შევქმნათ მუდმივმოქმედი ფორმატი თქვენთან დიალოგის, როგორც ეს არის მსხვილი ბიზნესის ასოციაციებთან. გვინდა, რომ გამოიყოს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თქვენ წინადადებებს და პრობლემებს მუდმივად მოიტანს მთავრობამდე. ჩვენი წარმომადგენლების ჩართულობით სწრაფი რეაგირება და გადაწყვეტილების მიღება მოხდება ამ საკითხებზე, რომელიც თქვენს ფუნქციონირებას გააიოლებს“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ევროკომისიამ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგინა



ევროკომისიამ, საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა.

ევროკომისიამ დადებითი ანგარიში დაახლოებით, 2 თვის წინათ გამოაქვეყნა.

ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველ ეტაპზე, ქართული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვდა.

მეორე ფაზა ევროპულ კანონმდებლობასთან უკვე დაახლოებული ქართული კანონების აღსრულებას და მის მონიტორინგს გულისხმობდა, რასაც საქართველომ თავი კარგად გაართვა.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეს უფლება ექნება, შენგენის ქვეყნებში უვიზოდ, ჩვეულებრივი პასპორტით შევიდეს და იქ მაქსიმუმ 90 დღის განმავლობაში დარჩეს. უვიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეს შენგენის ქვეყნებში სწავლისა და ლეგალური მუშაობის უფლებას არ აძლევს.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოაწერა.

3 მარტი — დედის დღე! 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე!

თქვენს გარეშე სიცოცხლეს ვერაფერი გააღამაზებს!

გაზაფხულის შემობრძანება, ბუნების გაღვიძება თავისებურად ჩვენი ადამიანური გრძნობების უფრო მეტად აღზევებასა და გამოფხიზლებას უკავშირდება. მარტის თვე კი განსაკუთრებულად ქალბატონებისადმი პატივის გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა. 3 მარტი და 8 მარტი ასეთი შესაძლებლობის ნათელი დადასტურებაა.

შვილების კეთილდღეობისთვის მებრძოლო დედებო, ღვაწლმოსილო პედაგოგებო, ჯანმრთელობისთვის ზრუნვაში დაუღალავო ექიმებო, ყველაზე თბილო და ტკბილო ბებიებო, ბობოქარო და შეუპოვარო სტუდენტებო და ჩემო პატარა მეგობრებო, პაწაწინა ქალბატონებო, გილოცავთ თქვენთვის კუთვნილ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს!

ყოველი დღე სასწაულებრივად სიხარულისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყო თქვენთვის. არ გქონოდეთ იმაზე მეტი საზრუნავი და საფიქრალი, რაც თქვენი სილამაზისა და სინატიფის ზღვარს გასცდება. იყავით მუდამ ოჯახში დაფასებულები, საქმეში პროფესიონალები და სიყვარულში გამარჯვებულები. გიხაროდეთ ცხოვრება და გქონოდეთ რწმენა, რომ თქვენს გარეშე სიცოცხლეს ვერაფერი გააღამაზებს...

არიან ქალბატონები, რომელთა გულიც წუხილსა და გოდებას განიცდის. ნუ დაეცემით ჩემო ძვირფასებო! ღირსეულად გაუმეღოთ დაძლიეთ ტკივილი. უფლის ნებას წინ ვერავინ აღუდგება...

უფალს ვებარებოდეთ და ვიხაროთ გაზაფხულის ყოველი შემობრძანებით.

გოდერძი ბუკია,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.

გილოცავთ!

ძვირფასო დედებო, ქალბატონებო, გაზაფხულის პირველ დღესასწაულებს 3 მარტს და 8 მარტს გილოცავთ, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ოჯახურ ბედნიერებას. ბედნიერი იყავით ყოველდღე, როგორც ქალი, როგორც დედა, როგორც შვილი, როგორც ადამიანი... გეამაყოთ შვილებისა და შვილიშვილების წარმატებებით და მათი ღირსეული მომავლით. ყველა დედას ვუსურვებ შვილთა სიმრავლეს, ჯანმრთელობასა და დიდი ხნის სიცოცხლეს.

უფალი გფარავდეთ.
გორჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის
გამგებელი.

კვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს! მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა მანდილოსნებმა, თავიანთი აზროვნებითა და მაღალზნეობრივი ცხოვრების წესით ეპოქები შექმნეს და დავითოვნად საოცარი ისტორიები, რომლითაც დღემდე ვამაყობთ და რომლითაც აქამდე მოვედით. ქართველი ქალების ღვაწლი შეუფასებელია, თქვენ იმ სახურებო ყოველივე საუკეთესოს.

მინდა ეს დღე ყველა ქართველ ქალბატონს მიეულოცო და ვუსურვო წარმატება, ჯანმრთელობა და ბედნიერება. თქვენ ხართ ის ადამიანები, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება გაფრთხილება, რადგან თქვენ საქართველოს მომავალი თაობების ბედი გაბარათ. თქვენ უნდა აღუზარდოთ სამშობლოს ღირსეული შვილები, მხოლოდ თავდაჯერებული, სიყვარულში მყოფი ქალი არის შემოქმედი ბედნიერი მომავლის, მხოლოდ თავისუფალი ქალი არის ჯანსაღი საზოგადოების დედა! გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ბედნიერი ქალის გვერდით გრძნობს მამაკაცი თავს სრულყოფილად.

გილოცავთ 8 მარტს და კიდევ ერთხელ გისურვებთ ყველაზე დიდ ბედნიერებას. მუდამ გეამაყოთ თქვენი აღზრდილი შვილებით.

ელდშერ ჯოგაშა,
ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სპექტაკლის პრემიერა ხობში



7 მარტს ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში აკაკი წერეთელის ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლი „ნათელას“ პრემიერა გაიმართა.

პრემიერის დასაწყისში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გორჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ელდშერ ჯოგაშამ დარბაზში მყოფ ქალბატონებს დედის დღე და ქალთა დღე მიულოცეს და ტიტები მიართვეს.

რეჟისორი მარინა ჯღარკავა, პიესაზე არაპროფესიონალ მსახიობებთან ერთად, ერთი თვის

განმავლობაში მუშაობდა. საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ბავშვთა თეატრალური დასის მსახიობებმა თინათინ აბრამიამ, ილონა ცაგურიამ, ლუკა ზარანდიამ, მარიამ ლომიამ, მარიამ წურწუმიამ, მარიამ შელიამ, მარიამ სიორდიამ, ქრისტინა გაბედავამ, დავით ბოჭორიშვილმა, ნიკო შონიამ, მათე ბერაიამ, ბექა წურწუმიამ, ირაკლი ვეკუამ, ბესო სახოკიამ და გოგიტა ნატრიაშვილმა დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი ისტორიები წარმოადგინეს.

პრემიერა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

გაუენდა ფეიჰოას პლანტაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად თორსადღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში დევნილ და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდნენ და სამინისტროს მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ გააცნეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით პროგრამას „დანერგე მომავალი“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება ა(ა)იპ პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროექტის მიზანია საქართველოს ყველა მუნი-

ციპალიტეტში (თბილისის, რუსთავის, ბათუმის და ფოთის გარდა) სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენება და სანერგე მეურნეობების მოწყობა.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს:

„ბაღის გაშენების შემთხვევაში“-ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს;

„სანერგე მეურნეობის შემთხვევაში“-მეურნეობის შექმნის ღირებულების 50%-ს.

პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელებისთვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1000-1200 ჰა-ზე თანამედროვე ტიპის ბაღის და 30-40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობის გაშენება, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტ-ჩანაცვლების, ხოლო, მეორე მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ზრდის პროცესს.

აღსანიშნავია, რომ ხობის მუნიციპალიტეტში გურიფულის და თორსადღვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში პროექტის ფარგლებში 42,5 ჰექტარზე უკვე გაშენდა ფეიჰოას პლანტაცია.

ფოტო კონკურსი „საქართველოს ფაუნა- ფოტოგრაფია VS ნადირობა“

ქ. ზუგდიდში კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი CENN, საქართველოს პარლამენტის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე სასკოლო კონკურსს „ფოტო-სინთეზის“ რეგიონული ტური გაიმართა, სადაც გამარჯვებული კონკურსანტები გახდნენ ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიის ნომინანტები.



საკონკურსო თემის „საქართველოს ფაუნა-ფოტოგრაფია VS ნადირობა“ ფარგლებში ჟიურის შეფასებით 98 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარიკა კანკიამ**.

მეორე ადგილზე 93 ქულით გავიდა ელენე ესებუა (ჩხოროწყუ). მესამე ადგილი მოიპოვა სალომე ფიფიამ (წალენჯიხა).

კონკურსის ნახევარფინალისტები ხობის მუნიციპალიტეტიდან გახდნენ მარიამ ხაბურზანია, თამო ბუკია, ანი ლომია (თორსის საჯარო სკოლა), ზაზა კუკავა (ხამისქურის საჯარო სკოლა), რომელთა ფოტო-ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. საინტერესო სასკოლო სტენდები წარადგინეს: სანდრო ნარსიამ და ნანო ნარსიამ (ხეთის საჯარო სკოლა), ვაჟა იოსავამ (ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლა).

გამოფენა-კონკურსის ჟიურის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა როზეტა შულაიამ, რომელმაც ხობის მუნიციპალიტეტის სახელით დააჯილდოვა კონკურსის ფინალისტი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან მარიკა კანკია და კონკურსის ფინალისტი აფხაზეთის რეგიონიდან რუსუდან ძიგუა.

დეპუტატი დროში

გოდერძი ბუიას შეხვედრა სოხელ სტუდენტებთან



„ზუსტად ვიცი, გაივლის დრო და ამას ყველა ხოხელი მიხვდება“

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუიამ უმაღლესი სასწავლებლების ხობელ სტუდენტებთან პერიოდული შეხვედრა გამართა. მან ისაუბრა იმ შესრულებულ საქმეებზე, რომელმაც ხობს სოციალური, ინფრასტრუქტურული, კულტურული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები შეუქმნა.

მისი თქმით, ბოლო წლებში ხობის პოპულარობა და ცნობადობა გაიზარდა, რაც განპირობა კულტურული პროექტების განხორციელებამ—საერთაშორისო ფესტივალმა „სიმღერა სამეგრელოზე“ და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის საეკლესიო კომპლექსისა და საპატრიარქო რეზიდენციის აშენებამ. განსაკუთრებული მაღლი ხობელებისთვის იყო ის, რომ პატრიარქმა საკუთარ რეზიდენციაში ღამე გაათია და ხობიდან დალოცა სრულიად საქართველო. მაღლმოსილ კუთხეს მუდმივ მფლობელობაში გადაეცა კიევ-პეჩორის ლავრიდან ჩამობრძანებული წმინდანების 83 წმინდა ნაწილი, რომელიც სწორედ გოდერძი ბუიას მეოხებით განხორციელდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს მუნიციპალიტეტის საკეთილდღე-

ოდ ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების საქმეში შეტანილი იმ წვლილის შესახებ, რაც ხობის მაჟორიტარი დეპუტატის მონდომებით და ხელშეწყობით გაკეთდა. ამ მხრივ სტუდენტების ინფორმირების დეფიციტი შეინიშნებოდა.

შეხვედრაზე, ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაოები, დეპუტატთან ერთად ხობის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ გააცნეს.

„მართალია, ხობის საკეთილდღეოდ ბევრ ჩემს წამოწყებას საზოგადოების გარკვეული ნაწილი სკეპტიკურად უყურებს, ყურს არ ვუგდებ მათ შეძახილს და წამოწყებული საქმე ბოლომდე მიმავს. ბევრი რამე მიკეთებია ხობისთვის როგორც დეპუტატს და განსაკუთრებით, როგორც რიგით ხობელს. მე განვაგრძობ საქმეების კეთებას. ჩემი საფიქრალია ხობელების ნათელი მომავალი და თქვენი ზვალინდელი დღე. შეიძლება დღევანდლობით ბევრი ვერ ათვისებინებინებ ჩემს მიერ წამოწყებულ საქმეებს, მაგრამ ზუსტად ვიცი, გაივლის დრო და ამას ყველა ხოხელი მიხვდება“—აღნიშნა დეპუტატმა.

გოდერძი ბუიამ იმ პერსპექტივებზეც ისაუბრა, რომლებიც ახლო მომავალში დაიწყება და მუნიციპალიტეტში ცხოვრების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მან მოუწოდა ახალგაზრდებს მიიღონ კარგი განათლება, გახდნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რათა დაბრუნდნენ მშობლიურ კუთხეში და მონაწილეობა მიიღონ მის აღმშენებლობაში. წამოწყებული ბიზნეს პროექტების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, მან ახალგაზრდებს საკუთარ მუნიციპალიტეტში დასაქმება შესთავაზა. სტუდენტებმა სურვილი გამოთქვეს ჩართულობაში შემოთავაზებულ პროექტებში.

გოდერძი ბუიამ პირველებს სტუ-

დენტებს გაანდო, ქვეყნისთვის და ხობისთვის უმნიშვნელოვანესი წამოწყება. მიმდინარე წლის სექტემბერში ხობში პირველად საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი ჩატარდება. ეს იქნება თვითშემოქმედებითი ფესტივალი, რომელიც შექმნის მეგობრობის, ურთიერთდამოკიდებულების, შეხედულებების გაზიარების, ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრების ფართო სპექტრს. ხელს შეუწყობს საკუთარი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის პოპულარიზაციას.

შეხვედრაზე იყო დასმული კითხვები სტუდენტების მხრიდან. მათ აღნიშნეს ის პრობლემები, რომელიც მათივე ხედვით მნიშვნელოვანი და მისაზრდია. მაჟორიტარმა დეპუტატმა და ხობის ადგილობრივი ხელისუფლების წამომადგენლებმა ჩაინიშნეს ახალგაზრდების შენიშვნები და მოგვარებას შეპირდნენ. თუმცა, რიგი პრობლემების აღმოფხვრა უკვე დაწყებულია. სტუდენტების მხრიდან დასმული პრობლემები ძირითადად შიდა გზების კეთილმოწყობას ეხებოდა.

შეხვედრა საქართველოს პარლამენტის კინო დარბაზში გაიმართა. გოდერძი ბუიასგან ეს არ იყო პირველი ასეთი შეხვედრა. დეპუტატი პერიოდულად ხვდება ხობელ სტუდენტებს. მსგავს შეხვედრებს უკვე სისტემატური ხასიათი მიეცემა, რადგანაც ახალგაზრდების მხრიდან აქტიური ჩარევა დღეს ყველაზე ძალიან სჭირდება ხობს. ის ბიზნეს პროექტები და ეკონომიკური წინსვლა, რაც მოკლე ხანში მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს, ახალგაზრდების მონაწილეობას და ჩართულობას გულისხმობს, რათა მათთვის საინტერესო და სასურველი საცხოვრებელი გარემო შეიქმნას.

აღვნიშნავთ, რომ ხობელი სტუდენტების უმრავლესობა შეხვედრას ვერ დაესწრო. რადგან უმაღლეს სასწავლებლებში ამ დროს სემესტრული დასვენება იყო გამოცხადებული.



ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუია საქართველოს პრემიერ მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან, ვიცე-პრემიერებთან კახა კალაძესთან და დიმიტრი ქუმსიშვილთან ერთად ბორჯომში ხუთვარსკლავიანი სასტუმროს „Crowne Plaza Borjomi!“-ის ოფიციალურად გახსნის ცერემონიას დაესწრო.

სასტუმროს მშენებლობა კომპანია „დიზონ ლიმიტედმა“ განახორციელა, რომლის დამფუძნებელი გოდერძი ბუიას დიდი ხნის მეგობარი და პარტნიორი, ხობის საერთაშორისო ფესტივალის უცვლელი მხარდამჭერი და ხობის საპატიო მოქალაქე თენგიზ ხარეზაძეა გახლავთ.

შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან

ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუიამ, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა. მათ მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შესრულებული სამუშაოების შესახებ, ასევე ისაუბრეს მიმდინარე წელს დაგეგმილ ახალ პროექტებზე. შეხვედრის დასასრულს მოსახლეობისგან მოისმინეს, მათ წინაშე არსებული პრობლემები და ისაუბრეს მათი გადაჭრის გზებზე.



მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ინფორმაციები

ჩვენს მუნიციპალიტეტში

დღის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია



4 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა დღის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა. ბავშვები სხვადასხვა მუსიკალური ნიმუშებითა და ლექსებით წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე. ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდნენ.

ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად საჯიჯაოს ადმინისტრაცი-



ულ ერთეულში ფერმერებს შეხვდნენ და სამინისტროს მიერ ინიცირებული ჩაის განვითარების სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ გააცნეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება თებერვლის თვიდან დაიწყო. პროგრამის მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის დაფინანსებას მიიღებენ იურიდიული პირები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

პლანტაციების რეაბილიტაციისთვის თანადაფინანსება იქნება:

* კერძო საკუთრებაში არსებული პლანტაციების შემთხვევაში: იურიდიული პირებისთვის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) — რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 60%

* სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 80%

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული (იჯარით გაცემული) პლანტაციების შემთხვევაში:

* იურიდიული პირებისთვის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) — რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 70%

* სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 90% სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები დამატებით უსასყიდლოდ მიიღებენ ჩაის პირველადი დამუშავებისთვის საწარმოო მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა რამდენიმე ეტაპიანი, პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო დონორ ორგანიზაციებთან ერთად, პროგრამის ბენეფიციარებს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ჩაის სწორად დამუშავების ტექნოლოგიების შესწავლის, სერტიფიცირების, მარკეტინგის, სარეალიზაციო არხების შექმნის მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული შეღავათები გავრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, რაც საქართველოში კოოპერაციის განვითარებას შეუწყობს ხელს.



ნომრის სტუმარია ბუთხუზ ხორავა, გამგებლის წარმომადგენელი ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში

ბატონო ბუთხუზ, თქვენ სხვადასხვა სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე, გიღვაწიათ, როგორ გრძნობთ თავს ყულევში, თქვენთვის არც ისე უცხო ამბულაში?

–არსებობს მნიშვნელოვანი წლები შენს ცხოვრებაში, უბრალოდ უფლება არ გაქვს დაივიწყო. ყოველდღე ემატება ჟამთაღრიცხვას ახალი თარიღები, უბრალოდ, თავს რომ შეგვახსენებს. ძნელია, სრულყოფილად ისაუბრო განვლილ წლებზე, ზოგჯერ წარმატებულზე, ან ხშირად წარუმატებელზე, თუმცა ნებისმიერ სამსახურში ახალ წამოწყებას ბუნებრივია, ხშირად სიძნელეებიც ახლავს თან.

1978 წლიდან დღემდე, ვფიქრობ, კეთილსინდისიერად ვმოღვაწეობდი სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათ შორის, ორი ათეული წელი მომავალი თაობის აღზრდაში გაგატარე. ეს ის პერიოდია, რომელიც განსაკუთრებულად მასწავლებს. დღემდე თვალწინ მიდგას ბავშვების თვალებში ჩამდგარი სხივები, მათ სიყვარულს დღემდე ამაყად დაატარებს ჩემი გული.

2007 წლიდან დღემდე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობებზე ვმუშაობდი. აღსანიშნავია, ნოჯიხევი, ჩემს საყვარელ სოფელში, ხელმძღვანელად მუშაობის რამდენიმე წელი. თბილი და ადამიანური ურთიერთობები ყველაზე მეტად სჭირდება ადამიანს, რასაც მე ჩემი თანასოფელებისგან დღემუდამ ვგრძნობდი. დღეს კი აღმოვჩენდი ისეთ სოფელში, რომელიც თავისი ისტორიით, კულტურით, სტუმართმასპინძლობით, ტრადიციებით არავის ჩამოუვარდება, სადაც ცხოვრობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ის, რომ ქვეყნის ძლიერება და ბედნიერება საქართველოს ყოველი მოქალაქისა და ყოველი კუთხის ერთიანობაშია. ქართული ცის ქვეშ ჩვენ ერთ მიწაზე დავიბადეთ, ერთი მზით, ერთი ჰაერით ცხოვრება უფლისგან გვერგო წილად, განგებად დაგვანათლა ერთი ტკივილითა და ერთი საფიქრალით ცხოვრება.

როგორია თქვენი ერთი სამუშაო დღე?

–ჩემი ერთი სამუშაო დღე მა-

ინცდამაინც დიდად გამორჩეული არ არის. საყვარელი ქვეყნისა და ოჯახის პრობლემებზე ზრუნვაში მიღამდება და მითენდება. არც ისე ადვილია ამხელა ტვირთი იკისრო და ზილო, მაგრამ ღვთის ძალა და მაღლი მადლიერებს და დღემდე ვუმკლავდები.

–ყულევში ფუნქციონირებს შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალი“, სადაც დასაქმებულია 65 ადგილობრივი მოსახლე. ტერმინალი გარკვეულ სოციალურ პროექტებსაც ახორციელებს: კერძოდ, ახალ დასახლებაში მცხოვრებთ ყოველთვის უნდა მათ მიერ მოხმარებული 200 კვ-ტი ელექტროენერგიის საფასურს თითო ოჯახზე, პერიოდულად ეხმარება სკოლას სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარებაში. გასულ წელს ტერმინალის ხელმძღვანელების დახმარებით სოფლის კლუბში რემონტი გაუკეთდა ერთ ოთახს, სადაც მოეწყო სამლოცველო და ყოველ სამშაბათს მამა იოანე

თან ერთად გადავწყვეტთ, თუ საით და რისთვის მივმართოთ აღნიშნული თანხა.

გარდა ტერმინალისა, რა ფუნქციონირებს სოფელში და რა როლი უჭირავთ მათ ხობის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

–გარდა შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალისა“, სხვა რამე, თუნდაც მცირე საწარმო, სოფელში არ არსებობს.

თქვენი აზრით, არჩევანის წინაშე რომ დავდეთ, რას ისურვებდით, რომ სოფლისთვის გაგეკეთებინათ?

–ჩემი საფიქრალი სოფლის წინაშე არსებული პრობლემებია, სურვილი კი ამ პრობლე-

„ჩემი საუბრალი სოფლის წინაშე პრსებული პრობლემებია...“

მეტ დროს, რა თქმა უნდა, ყულევში ვატარებ, რათა ნორმალურად გავეძღვე დაკისრებულ მოვალეობას. ვცდილობ, ყოველთვის სოფლის ცხოვრების შუაგულში ვიყო, მისი ჭირისა და ლხინის თანამოზიარე გაგხდეს. მინდა ვიყო ავტორიტეტი, ხალხი რომ მენდოს და სჯეროდეს ჩემი. თუკი ხალხს შენს გულწრფელობაში ეჭვი შეეპარა, უბრალოდ, გაგირთულდება მათთან ურთიერთობა. რამდენად კარგად გამოდის ყოველივე, ამის შეფასება ყულეველებისთვის მომინდვია.

როგორ შეეჩვიეთ ზღვისპირა სოფელს, როგორი ხალხია ყულეველები–პრეტენზიულები თუ გამორჩეულად მომთმენი და დამთმობები? რამდენი კომლია ყულევში, რითი არიან დაკავებული?

–როგორც მოგეხსენებათ, ყულევი ზღვისპირა სოფელია. სოფელი მეჩხერადაა დასახლებული, ახალი დასახლება კი მჭიდროა, სოფელში 115 კომლი (332 მოსახლე) და 2 აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი ცხოვრობს. ხალხი ზომიერად პრეტენზიული, მაგრამ მომთმენი და დამთმობებიც არიან.

მოსახლეობა ძირითადად ყულევის ტერმინალშია დასაქმებული.

ყულევი პატარა სოფელია, მაგრამ აქ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალი“ ფუნქციონირებს. რას ნიშნავს ის ყულეველებისთვის და რა როლი ენიჭება მას მათ ცხოვრებაში?

აღავლენს ლოცვას.

მიმდინარე წლის იანვარში, წყლის მიწოდებაში შეგვექმნა პრობლემა, რაშიც ფინანსური დახმარება გაგვიწია ბატონმა კარიმ გულიევმა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სოფლის მოსახლეობის სახელით მადლობა გადავუხადო გაწეული დახმარებისთვის, იმ იმედით, რომ კვლავაც ტერმინალის ხელმძღვანელობა და თავად ბატონი კარიმი შესაძლებლობის ფარგლებში სოფელს გვერდით დაუდგება. ამდენად მნიშვნელოვანია ტერმინალი და ბატონი კარიმი ყულეველებისთვის.

რა ხდება დღეს ყულევში?

–ამჟამად ყულევში მიმდინარეობს მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის „საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათების დარიცხვა, რომელიც უკვე მეოთხე წელია ხორციელდება და დიდი შედეგითაა სოფლის მოსახლეობისთვის.

რას იტყვით თქვენს გეგმებზე, რა სამუშაოები უნდა განხორციელდეს სოფელში, კერძოდ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში?

–როგორც მოგეხსენებათ, ყულევი პატარა სოფელია, ამიტომ თანხა, რომელიც გამოყოფილია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ძალიან მცირეა, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც არსებობს სოფელში, მაგრამ სოფლის მოსახლეობას-

მების მოგვარების გზების ძიება.

პრობლემები... პრობლემები... ამ თემაზე საუბარი იმდენად სისხლხორცეული გახდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ სხვაგვარად ვერ კი წარმოგვიდგენია. რას ვიზამთ, სამწუხაროდ, რეალობას ვერ გავექცევით, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ის დღეც დაგვიდგება, როცა ბევრ რამეს, რაც ესოდენ მტკივნეულია და გვაწუხებს, ძალიან მალე ალბათ დიმილითაც გავიხსენებთ.

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს, სასმელი წყალია. ახალ დასახლებაში ტექნიკური წყალიც კი არ არის. მართალია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყველაფერს აკეთებს შესაძლებლობის ფარგლებში მოამარაგოს მოსახლეობა სასმელი წყლით. სოფელს წყალი მიეწოდება შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში ერთხელ, 8 ტონიანი ავტო-ცისტერნით, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს არ არის საკმარისი, რაც მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი არაერთხელ გამხდარა. სოფელს სხვა პრობლემა თითქმის არ ახსოვს. ზაფხულის დადგომასთან ერთად, ისევ მოიმატებს მოთხოვნა ამ კუთხით. ვცდილობთ, სხვა გზებიც ვეძიოთ. აქვე მინდა ვთქვა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაშინდელი ხელისუფლების მიერ სოფელ ყულევში დაიწყო წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. გაკეთდა ჰაბურდული, ჩაიყარა მილები, მაგრამ მაშინ ქვეყანაში

განვითარებული მოვლენების გამო ვერ მოხერხდა მისი ექსპლოატაციაში გაშვება. დღეის მდგომარეობით არსებობს მხოლოდ ჰაბურდული, რომელიც საჭიროებს შესწავლას. აღნიშნული საკითხი მოგეხსენებათ, გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული, რისი შესაძლებლობაც, სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. სოფლის უმთავრესი პრობლემა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არის სასმელი წყალი. მოსახლეობას აქვს არტეზიული ჭები, მაგრამ ჭის წყალი სასმელად უვარგისია, რადგან საწრეტი არხების არარსებობის გამო წვიმის წყალი ჩაედინება და ადგილი აქვს მის დაბინძურებას. მინდა, რომ ჩემი აქ მუშაობის პერიოდში. სოფლის ეს უმთავრესი პრობლემა სამუდამოდ მოვაგვაროთ.

მიმდინარე წელი საარჩევნო წელია, მეტი პასუხისმგებლობა, მეტი მონდომება, შემართება და ძალების მობილიზება გვმართებს, რათა არჩევნებში ხალხის ნდობა და მხარდაჭერა მოვიპოვოთ. მე მეიმედება ჩემი ხალხის, რადგან ჩვენ ერთი ჭირი და ლხინი გვაერთიანებს. გაგებით ვეკიდებით ერთმანეთის სატკივარს.

ალბათ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვთ. როგორია თქვენი ცხოვრების გზასავალი? გთხოვთ თქვენზე გვიამბოთ, ცოტა რამ?

–სამუშაო გრაფიკი ნამდვილად დატვირთული მაქვს, მაგრამ მადლობა უფალს, მარტო არ ვარ ამ ქვეყანაზე. სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (დირექტორი ზატია ოჩიგავა), რომელიც განათავსებულია ყოფილი ბაღის შენობაში, აქედან გამომდინარე, სოფელში არ გვაქვს ბაღი. სასოფლო კლუბის შენობაში გამოყოფილია ოთახი სამედიცინო პუნქტისთვის (მედა მზისადარ ქანთარია).

რაც შემეხება მე, დავიბადე და გავიზარდე კოლხეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ნოჯიხევიში, სადაც მივიღე პირველადი განათლება, სადაც ვისწავლე ჩემი ქვეყნის, ერისა თუ სარწმუნოებისადმი სიყვარული... რაც ესოდენ მასულდგმულებს. მეაფს მეუღლე და ორი შვილი, მათ გარეშე ჩემთვის ქვეყანაზე არსებობას აზრი არ ექნებოდა.

რას ელოდებით ზეალნდელი დღისგან?

–ამას თვით დრო გვიჩვენებს. მეიმედება ყველა ის ადამიანი, ვინც სოფელს ცოტათი მაინც გამოუწვდის ხელს.

ესარგებლობ შემთხვევით და ქალთა დღეებს ვულოცავ ყველა მანდილოსანს. უფლის ღვთიური მადლი გვფარავდეთ ყველგან და ყველაფერში.

ესაუბრა ნანი კილასონია.

ნარმატიხული მოსწავლეები

პროექტი ამ წლის მთავარი სამიზნეა...


რუბრიკა—წარმატებული მოსწავლეები, დღეს წარმოგიდგენთ ნობის №2 საჯარო სკოლის წარმატებულ სამეულებს—ცოტნე გუჩუას, ცოტნე ქირიას და ბაკურ ბუკიას.

სამაუწყებლო კომპანიის პირველი არხის ეთერში გადის გადაცემა „წიგნების თარო“, სადაც მოზარდი თაობა, სკოლის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას. გადაცემა იმითაა საყურადღებო, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს უყალიბებს წიგნისადმი სიყვარულს. ამ გადაცემაში მო-

ნაწილეობა მიიღო შესანიშნავმა სამეულმა და წარმატებასაც მიაღწია, წინ კიდევ ელოდებათ ასპარეზობა, მინდა მათ წარმატებები ვუსურვო.

ბავშვები რედაქციაში მოვიწვიე, დიალოგიც სწორედ აქ შედგა. სამივეს ერთნაირი შეკითხვები დავუსვი, ასაკითაც ეს მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, შესაბამისად, მათი პასუხებიც ვფიქრობ, საინტერესო იქნება.

ცოტნე გუჩუა



მეთერთმეტე კლასელი, უყვარს კითხვა, მუსიკა, კომპიუტერული თამაშები. თამაშობს ჭადრაკს, უკრავს ფორტეპიანოზე. ხშირად სეირნობს ველოსიპედით.

სკოლა და თქვენ...

—სკოლა ჩემთვის ბევრს ნიშნავს. დღის უმეტეს ნაწილს იქ ვატარებ. მყავს ძალიან ბევრი მეგობარი, ჩართული ვარ სასკოლო ცხოვრებაში.

საკმაოდ წარმატებული მოსწავლე ბრძანდებით, მოგვიყვით თქვენს წარმატებებზე.

—წარმატებული ვარ თუ არა, ამას ჩემი მასწავლებლები უკეთ შეაფასებენ. ვფიქრობ, რომ ვარ ერთი ჩვეულებრივი მოსწავლე. ვმონაწილეობ სხვადასხვა სასკოლო პროექტში, კერძო და ეროვნულ ოლიმპიადებში, კონკურსებში. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს თანაკლასელებთან ერთად ვიღებდი მონაწილეობას საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“, რომელიც საკმაოდ რთული კონკურსია. რესპუბლიკის მასშტაბით საპრიზო ადგილზე გავვდივით და საპატრიარქომ საჩუქრებითა და ექსკურსიით დაგვავლილგო. ასევე ჩემთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონკურსში „ალიანტეში“ მონაწილეობა. მასში მე და ჩემი მეგობარი ვაჟა შელია ვიყავით ჩართულები. ესეც საკმაოდ შრომატევადი კონკურსია. იგი რამდენიმე ეტაპად ტარდება და მოითხოვს დიდ შრომას, უზარმაზარი ინფორმაციის მოპოვებას ევროატლანტიკური გაერთიანების—ნატოს მიზნების, ამოცანებისა და ქმედებების შესახებ, ამ კონკურსის ერთ-ერთი რთული ეტაპია ქართულ სამხედრო ქვედანაყოფში წვრთნების გავლა და ნორმატივების ჩაბარება. იქ ძალიან დიდი ცხოვრებისეული სკოლა გავიარე და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. წარმატებები სხვა კონკურსებშიც მქონდა, მაგრამ ამაზე დეტალურად არ ვისაუბრებ.

ცოტნე, როგორ ფიქრობ, თქვენი წარმატებები არის თუ არა მასწავლებლებზე დამოკიდებული?

—ნებისმიერი წარმატება თავისთავად მოითხოვს მიზანდასახულობას, ნებისყოფას და ცოტა მეტ შრომას. რა თქმა უნდა, მათი წვლილი ძალიან დიდია. მასწავლებლები მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე ალბათ გამიჭირდებოდა. ისინი ჩემი დიდი გულშემატკივრები არიან. მინდა მადლობა ვუთხრა თითოეულ ჩემს მასწავლებელს.

სულ ცოტა ხნის წინ პროექტმა „წიგნების თარო“ წარმატება მოგაპოვებინათ. მომიყვით პროექტის შესახებ.

—ეს პროექტი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არის ორგანიზებული. მისი მთავარი მიზანი ახალგაზრდების მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებაა. კარგი პროექტია და აუცილებლად გახდება პოპულარული. იგი ხელს შეუწყობს თინეიჯერებში წიგნების ამაღლებას. გამარჯვებულ გუნდს კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში აგზავნიან. თამაშები საზოგადოებრივი არხის ეთერში გადის.

რა პრინციპით მიმდინარეობდა ეს პროექტი?

—პროექტისთვის ქვეყნის მასშტაბით უნდა შეერჩიათ 32 სკოლა, ხოლო შემდგომ თამაში ოლიმპიური პრინციპით იყო დაგეგმილი. კონკურსის პირველი ეტაპი გულისხმობდა მონაწილეობის მსურველ სკოლის გუნდთან (გუნდი წარმოდგენილია სამი მოსწავლით). კონკურსის ორგანიზატორების გასაუბრებას მხატვრულ ლიტერატურაზე, ონლაინ რეჟიმში. ასეთი გასაუბრება შედგა. დასარულს აგვიხსენს, რომ შედეგები გამოქვეყნდებოდა მათ ვებ-გვერდზე. კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილეობდა ორასამდე სკოლა. ძალიან გაგვიხარდა, როცა 32 სკოლას შორის ჩვენც აღმოჩნდით.

ვინ შემოგთავაზათ კონკურსში მონაწილეობა?

—კონკურსის თაობაზე ინფორმაცია მოგვწოდა ჩვენი სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნანა ქვარაიამ გვთხოვა, გავგველო რეგისტრაცია და მიგველო მონაწილეობა. მე, ცოტნე ქირიამ და ბაკურ ბუკიამ შევავსეთ განაცხადი და გავაგზავნეთ. კონკურსმა ძალიან დაგვაინტერესა. დღეს უკვე მერვედღიანობაში ვართ. ვნახოთ მომავალში რას შევძლებთ. აქვე მსურს ძალიან დიდი მადლობა ვუთხრაო ჩვენს გულშემატკივართა კლუბს, რომლებმაც ღირსეული მხარდაჭერა გავვიწიეს.

წიგნი და კომპიუტერი.

—კომპიუტერი ჩემი თაობისთვის ერთ-ერთი მთავარი საკომუნიკაციო საშუალებაა. ჩვენ კომპიუტერს მხოლოდ თამაშებისთვის არ ვიყენებთ. ინტერნეტი იძლევა საშუალებას მივიღოთ ბევრი საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია, რომელსაც ხშირად ვიყენებთ სკოლაშიც და კონკურსებშიც. წიგნი კი თავისთავად მნიშვნელოვანია მყარი განათლების მისაღებად.

რომელი ჟანრის წიგნს კითხულობთ?

—ვკითხულობ თითქმის ყველა ჟანრს. მთავარია, მომეწონოს და დამაინტერესოს. უპირატესობას დეტექტივს ვანიჭებ.

თქვენი სამომავლო გეგმები

—მინდა სკოლა დავამთავრო წარმატებით, გავხდე ძლიერი ქიურგი და ვიყო ღირსეული ადამიანი. შევძლო ჩემი ოცნებების ახდენა.

ცოტნე ქირია



—თითქმის ათი წელია მეორე სკოლის მოსწავლე ვარ და ეს სკოლა, თავისთავად, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან უკავშირდება ყველა ჩემს წარმატებას და, ჩემი ყოველდღიური ნაწილია. თავისუფალ დროს ვთამაშობ ბილიარდს.

—შარშან სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის ფინალში ვმონაწილეობდი. სასწავლო ოლიმპიადებში ხშირად ვიღებდი მონაწილეობას. „ლონდონსკულის“ ოლიმპიადის ფინალში არაერთხელ გავვდივ, ამასთანავე წელს ისტორიის ეროვნული ოლიმპიადის ფინალში გავვდი. პროექტ „წიგნების თაროში“ მეთექვსმეტედ ფინალური ეტაპი დავძლიეთ და შემდეგ ეტაპზე გადავვდი. —სასწავლო ოლიმპიადებში ხშირად ვმონაწილეობდი, წელს ისტორიის ოლიმპიადის ფინალშიც გავვდი, რამაც, რა თქმა უნდა, ძალიან გამახარა, იმედია, სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის ფინალშიც მოვხვდები.

რაზეა დამოკიდებული თქვენი წარმატებები?

—ყველა წარმატება, უპირველესად დამოკიდებულია შრომასა და წლების განმავლობაში დაგროვებულ ცოდნაზე. შრომის და ცოდნის გარეშე წარმატება შეუძლებელია.

სულ ცოტა ხნის წინ, პროექტმა „წიგნების თარო“ წარმატება მოგაპოვათ...

—პროექტი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა და მიზანია მხატვრული ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრდების აღმოჩენა და გამოკვლევა. პროექტი მთლიანად მხატვრულ ლიტერატურას ეხება და სხვას არაფერს. პროექტი ოლიმპიური პრინციპით მიმდინარეობს და გამარჯვებული სკოლის გუნდის 3 მოსწავლეს დაუვიწყარი საჩუქარი ელოდება—კემბრიჯის საზაფხულო სკოლა დიდ ბრიტანეთში. პროექტში მონაწილეობის მიღება ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა სალომე გადელიამ რეგისტრაციის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე გვირჩია, შემდეგ კი სკოლაში ძალიან სწრაფად შევძელით დარეგისტრირება ქალბატონი ნანა ქვარაიას დახმარებით, გასაუბრება გავიარეთ და ასე მოვხვდით „წიგნების თაროში“.

წიგნი თუ კომპიუტერი?

—ვფიქრობ ამ ორი რამის შედარება არ შეიძლება, რადგან კომპიუტერი თავის საქმეს აკეთებს, იმას, რასაც წიგნი ვერ მოაგვარებს, ხოლო წიგნი აკეთებს იმას, რასაც კომპიუტერი ვერასოდეს შეძლებს.

რაზე ფიქრობ?

—ალბათ ყველაზე მეტად ჩემი ფიქრები „წიგნების თაროს“ გარშემო ტრიალებს, რადგან ეს პროექტი ამ წლის მთავარი სამიზნეა.

ბაკურ ბუკია



—ვცხოვრობ თორსაში, მაგრამ ვსწავლობ ნობის მეორე საჯარო სკოლაში. თავისუფალ დროს ვუთმობ მეგობრებს და კითხვას. სკოლაში უფრო დიდ დროს ვატარებ, ვიდრე სახლში. არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი ყოველდღიურობა, როცა სკოლას დავამთავრებ. ზოგადად სკოლაში სწავლის წლები ადამიანისთვის საუკეთესო მოგონებებთან ასოცირდება. ჩემთვისაც სკოლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია. მე აქ ცხოვრებას ვსწავლობ. სასკოლო ოლიმპიადებზე ხშირად მიმიღია მონაწილეობა, ასევე შიდასკოლო ტურნირებში, სადაც არერთხელ ვყოფილვარ გამარჯვებული, ერთ-ერთი ასეთი კონკურსია „რა? სად? როდის?“ წელს განსხვავებულ კონკურსში ვიღებ მონაწილეობას და იმედია, წარმატებული გამოსვლა გვექნება. „წიგნების თარო“ საკმაოდ წარმატებულად დავიწყეთ და ასე გავგრძელებთ. წარმატების მისაღწევად შრომა აუცილებელია და ამის შემდეგ წარმატება გარანტირებულად გვექნება.

წიგნი...

—წიგნი საუკეთესო საშუალებაა ცოდნის მისაღებად.

რომელი ჟანრის წიგნებს კითხულობთ?

—გამორჩეულად ვერ გეტყვით, მაგრამ ისეთი წიგნები მიზიდავს, რომლის კითხვისას დროს ვერ ამჩნევ და მოულოდნელი დასასრული აქვს.

თქვენი სამომავლო გეგმები...

—პირველ რიგში „წიგნების თაროში“ გამარჯვებას ვაპირებ, შემდეგ უმაღლესი განათლების მიღებას და ჩემი პროფესიით დასაქმებას.

მასწავლებელი...

—მასწავლებელი უმთავრეს როლს ასრულებს, როგორც ჩემს, ისე სხვა მოსწავლეების წარმატებაში. წარმატება მათი დამსახურებაა.

გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ.

ეს ღამაში გაზაფხული, თქვენთვის მომილოცნია!



სიცოცხლის საწყისს—დედას და ღვთის კურთხეულ გრძნობას—დედაშვილობას ოდითგანვე უგალობს კაცობრიობა. ხატი ჩვენი თავგანისცემისა დედაა, სხივი ჩვენი იმედისა—ბავშვი. ოჯახიდან იწყება ერის სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობაც, ქვეყნის დიდებაც და მომავალიც მრავალშვილიანობამ მოადწევინა დღევანდლობამდე მრავალჭირნაზულ ქართველ ხალხს, მრავალშვილიანობა არანაკლებ საჭიროა დღეს, ვიდრე წარსულში.

დღეს საქართველოში ბევრი წარამატებული ქალი მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც.

მისი დანახვისთანავე მურმან ლებანიძის სტრიქონები გამახსენდება „ფეხი ირმისა, ყელი გედისა...“ პოეტის თქმისა არ იყოს, ისიც ქალობაში შევიდა თავისი ოცნებებით, ბრწყინვალე მეუღლით, უღამაზესი შვილებით ტატა, გოგი, ნუცა, (მალე მეოთხე შვილსაც ელოდება). დიდი სახლის „პატარა დიასახლისი“ და წარმატებული ქალბატონი

თამუნა სიჭინავა. ის დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

ქალი ბუნების გვირგვინი, ქალი—ბუნების საწყისი

გვიამბოთ თქვენზე?

—მე ვარ თამუნა სიჭინავა. დავიბადე 1989 წლის 1 აგვისტოს. დავამთავრე ქ. სობის №1 საჯარო სკოლა. შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი. 2012 წლიდან ვარ საჯარო მოხელე, ამჟერად განხორციელებს სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა. დავექვემდებარე 2005 წელს, მყავს მეუღლე გიორგი ბუკია და შვილები ტატა, გოგი, ნუცა ბუკიები.

შენი საყვარელი ფრაზა?

—„ჯობია, შენი ოცნებების მისაღწევად იბრძოლო და დამარცხდე, ვიდრე უბრძოლველად გეწვიოს დამარცხება და ვერც კი გაიგო, რა იყო ამის მიზეზი“ პაოლო კოელი.

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“ ილია ჭავჭავაძე.

რაზე ოცნებობ?

—ვოცნებობ შევძლო ჩემი შვილებისთვის ვიყო საამაყო დედიკო. აღვზარდო ღვთისმოსი და წარმატებული შვილები.

ვოცნებობ ჩემი შვილი ატირებული არ მოვიდეს სახლში და მიზეზად არ მითხრას, რომ მის მეგობარს დახვეული ფეხსაცმელი აცვია, რვეული არ აქვს, დიდი დასვენების დროს შიოდა და ფუნთუშის საყიდლად ფული არ ჰქონდა...

ღმერთს ვთხოვ, რომ ყველა მშობელს მისცეს საშუალება, რომ საკუთარ შვილებს აჩუქონ ბედნიერი ბავშვობა და შეუქმნან კარგი მომავალი...

როგორ ახერხებ ოჯახისა და საზოგადოებრივი სამსახურის პარმონიულ შერწყმას?

—როდესაც ოჯახში გაქვს პარმონია, ავტომატურად ასე ხდება...

გიჭირთ თუ არა დროის განაწილება?

—ხშირად რჩებიან ბავშვები ჩემს მშობლებთან. სახლშიც შეძლებისდაგვარად ყველა მეხმარება. ჯერ არ მიჭირს და მეოთხე შვილის შემდგომ შემდეგ არ ვიცი, როგორ იქნება.

ჰობი ცხოვრებაში?

—ბავშვობიდან ჩემი ჰობი იყო სპორტი, კერძოდ, კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. მართალია ესლა ვერ ვახერხებ კალათბურთის თამაშს, მაგრამ მაგიდის ჩოგბურთის შეძლებისდაგვარად ხშირად ვთამაშობთ მე და გიორგი.

ცნობილი ჟურნალისტისა და პიროვნების გოგი ბუკიას რძალი ბრძანდებით. ის იყო ყველასთვის პატივსაცემი, ნამდვილი კოლორიტი. თქვენ როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?

—გოგი ბუკიას სახელი ჰქვია ჩემს შვილს და ვოცნებობ, რომ ისეთივე ღირსეული პიროვნება შედგეს, როგორიც მისი ბაბუა იყო. ჩემთვის ძალიან საამაყო და საპასუხისმგებლოა ამ ოჯახის რძლობა. მე და გოგი ბუკიას გვქონდა ძალიან მეგობრული ურთიერთობა, თვითონ ჩვენს ურთიერთობას მშაყაცობას ეძახდა. ერთი სულის ჰქონდა ბაბუა როდის გახდებოდა, მუ-

ცვლზე მეფერებოდა, ამბობდა ნამდვილი ბუკია იბადება, ნახე როგორი აქტიური-აო. 26 მარტს გარდაიცვალა... 2 საათით ადრე ვესაუბრე, როგორ ხარმეთქი, შენ არ ინერვიულო, სანამ ბაბუა არ გახვდები, არ მოგკვდები, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა...

ტატა 7 ივლისს დაიბადა და მას გოგი ბაბუა ცოცხალი არ დახვედრია, მაგრამ მისი სახელი ყველგან წინ მიჰყვება და გზას უკვალავს ჩემს შვილებს...

თვისება, რომელიც შენში მოეწონება?

—ადამიანში ვერ ვიტან პირფერობას, შესაბამისად, ეს ჩემგან გამორიცხებულია. მირჩევნია ადამიანს პირში ვუძრახო და ამის გამო ვაყვყენი, ვიდრე, ვეპირფერო და ვასიამოვნო.

რა არის შენთვის მიუღებელი?

—მიუღებელია ღალატი ყველა გავებით, მხოლოდ ოჯახს და ცოლ-ქმრობას არ გუვლისხმობ. როცა ადამიანს შენი იმედი აქვს და გვერდში უდგახარ, ეს ბოლომდე უნდა შეძლო.

მთელი დღე გარეთ გიწევთ ყოფნა, მაგრამ „დიდი სახლის“ ბრწყინვალე დიასახლისი ხართ, როგორ?

—ბრწყინვალე დიასახლისობას რამდენად ვახერხებ, არ ვიცი, მაგრამ ცდილობ ვიყო. ესეც, მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრთა ხელშეწყობით...

რა რჩევებს მისცემდით ახალგაზრდა დედებს?

—ახალგაზრდა დედებს ვურჩევ, რომ აუცილებლად დაუთმონ საკუთარ თავს დღეში 1 საათი მაინც. იზრუნონ საკუთარ გარეგნობაზე, ეს აუცილებელია. მოუვლედი და მოუწესრიგებელი არც დედა სჭირდება ბავშვებს, არც მეუღლე სჭირდება ქმარს და მასეთი საკუთარი თავიც ვერ გვეყვარებათ. ყურადღება მი-აქციონ განათლებას მიღებას. საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის განათლება აუცილებელია.

ადამიანი, ვის აზრსაც ყოველთვის ითვალისწინებ?

—საკმაოდ ჯიუტი ვარ, მაგრამ შეძლებისდაგვარად ცდილობ, გავითვალისწინო ჩემი მშობლებისა და მეუღლის აზრი.

რას იტყვით მეუღლეზე, შვილებზე?

—ჩემი მეუღლე გიორგი ბუკია არის შპს „კოლხას“ დირექტორი, 18 წლიდან მუშაობს. უკვე 10 წელია ერთად ვართ და მეოთხე შვილს ველოდებით... ეს ალბათ ყველაფერს ამბობს ჩვენი ურთიერთობის შესახებ... ჩემს შვილებს რაც შეეხება, ტატა მესამე კლასშია და კინგის ოლიმპიადის რაიონის გამარჯვებულია ინგლისურსა და ქართულში. გოგი საკმაოდ წარმატებული მოსწავლეა და ენაკვიმატობით ბაბუას, მის მოსახელესა და მო-

ვარეს ადარებენ, რაც ძალიან მახარებს. ნუცა არის მისი ბალის მასწავლებლების რჩეული და საკმაოდ ჭკვიანი მისი ასაკისთვის, ის პატრიარქის ნათლულია, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა და რომ



გაიზრდება აუცილებლად იქნება პატრიარქის ღირსეული ნათლული. ღვთის შეწევნით ჩემი მეოთხე შვილიც პატრიარქის ღირსეული კურთხევით უკვე ტიტულით იბადება, ის იქნება პატრიარქის ნათლული და „სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილი და საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტის მცველი“ ალექსანდრა.

ქალები, რომლებიც კარიერას იკეთებენ ბარიერებზე საუბრისას, პირველ რიგში ოჯახს, მეუღლეს ახაზებდნენ, შენს შემთხვევაში?

—ჩემს შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვი, მაგას ძირითადად ისეთი ქალები ამბობენ, ვინც ჯერ კარიერა აიწყო და მერე დაოჯახდა.

სამი შვილის დედა ხართ, მალე მეოთხესაც ელოდებით ეს დიდი გამოცდაა, ჯერ ზომ პატარა ხარ?

—პირველი შვილის დაბადებისას იმდენად პატარა ვიყავი, რომ ვერც აღვიქვი ბოლომდე, რა მოხდა ჩემს ცხოვრებაში. გოგიჩოც მალევე გაჩნდა, დღენაკლული დაიბადა, იმდენად პატარა და დაუცველი იყო, რომ მისი სიცოცხლე ნამდვილად დიდი საჩუქარია. 4 წლის იყო ტატა და 3 წლის გოგიჩო, როცა ნუცა მოვევლინა სამყაროს, ეს იყო უდიდესი საჩუქარი და-მისთვის. ეგოისტური დამოკიდებულება არ ჰქონიათ, პირიქით, ზრუნავდნენ მასზე.

ესლა კი 8 წლის ტატა, 7 წლის გოგი და 4 წლის ნუცა კამათობენ, ვის დაემსგავსება პატარა ალექსანდრა, ვის უფრო მეტად ეყვარება, ვისთან დაიბინებს და ა.შ. ეს არის ბედნიერება...

ქართული ხალხური სიმღერა მათთვის ყველაფერი



ქართული ხალხური სიმღერა ისეთივე ძველია, როგორც ქართველი ერი. ვინ იცის რამდენი ქართული სიმღერა დაიკარგა დროთა-ვითარებაში, მაგრამ ბევრის შენახვა და შენარჩუნება შესძლო ქართველმა ხალხმა. სწორედ, შემორჩენილი სიმღერების ოსტატები იყვნენ სოფელ საჯიჯაოს მკვიდრნი, ალექსანდრიების მთელი დინასტია.

დედა თამარა, მამა ვანო და 8 შვილი ბონდო, ვაჟა, ლიანა, თინიკო, გოგონა, მთვარისა, ინდიკო, კუკური. ოჯახის წევრები ერთად შეიკრიბებოდნენ, შემოუსხდებოდნენ შუა ცეცხლის კერას და დააგუგუნებდნენ „ოლიას“, „ჩელას“. მათი ტკბილი ხმა მთელს სოფელს ესმოდა.

ხოლო მათი უმრავლესობა კი საჯიჯაოს კულტურის სახლთან არსებულ უხუცესთა ფოლკლორულ ანსამბლ „ოთუთარჩელას“ წევრები იყვნენ...

ჭიშკარს მორიდებით მივადექი. მშვენიერი კოპწია ოდა-სახლიდან სათნო ქალბატონი, ალექსანდრიების ოჯახის ერთ-ერთი წევრი, ლიანა ალექსანდრია გამობრძანდა. თავაზიანად მოგვესალმა და ჩვეული სტუმართ-მასპინძლობით გა-მორჩეულმა შინ მიგვიატა.

ფუტკარივით მოფუსფუსე დიასახლისი, მზრუნველი დედა და ბებია, კეთილი და სამართლიანი. მეზობლისა და მოყვასის დამფასებელი. ქართული მანდილის ღირსეულად მატარებელი. ფოლკლორის დიდი მეზობლე და მემკვიდრე, შრომის-მოყვარე, ათასი გაჭირვების მიუხედავად (მეუღლე ადრე გარდაიცვალა) ყველა გაჭირვებისა და ღვთის ტალკვესი. ასეთად იცნობენ სოფელში, ქალბატონ ლიანას და არამარტო სოფელში არამედ ყველაგან, სადაც უხდება ყოფითი ცხოვრება. სცენის გარეშე ერთი დღე არ უცხოვრია და წინაპრების მიერ დატოვებულ ტრადიციას სათუთად ინახავს. ძმებთან ერთად წლობით იდგა საჯიჯაოს კულტურის სახლის სცენაზე. (სწორედ იქ გაიცანია ქალბატონი ლიანა), თავის დედამამისშვილებთან ერთად. სამწუხაროდ, შარშან მოულოდნელად ბატონი ბონდო გარდაიცვალა. მიუხედავად დიდი მწუხარებისა, დღესაც განაგრძობს სიმღერას, (ახალგაზრდობაში ლექსებსაც წერდა). რადგან ქართული ხალხური სიმღერა მათთვის ყველაფერია. ყველაზე მეტად მისმა უღამაზესმა ყვავილებმა მომხიბლა. წლობით ნაშრომ-ნაჯაფ ქალბატონის ეზო, მოვლილი და მოწესრიგებული ჰქონდა. მცირე ექსკურსიის შემდეგ მის ვაჟიშვილს ონისეს გავესაუბრე და ვთხოვე მათი წინაპრების მიერ დარგული ას-წლოვანი ხეების ხეივანი ეჩვენებინა, უღამაზესი მამული დავათვალიერე. ღმერთმა გვიცოცხლოს ასეთი ადამიანები. თავისი შრომით მოპოვებული დოვლათით, ზეგვით ბარაქით, დახუნძლული „მეგრული ფაცხით“ და... საოცარი სტუმართ-მასპინძლობით.


ქალბატონო ლიანა, ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მოგილოცოთ გაზაფხულის ღამაში დღესასწაულები. გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე ღვთისა და მოყვასის სიყვარულით.

P.S. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვე, რომ ბატონი ონისე დაქორწინებულია. ვულოცავ მას დიდ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს და ღამაზე დღეთა სიუხვეს ვუსურვებ.

ბავშვები მოამზადა ნაირა ბერაია

ს ს ს ს ს ს

მინი ფეხბურთი



დაბადების დღეს გაიმართა ორი შეხვედრა, მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალური. მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს „ჭყონდიდელისა“ და „ჭალეს“ უბნის ფეხბურთელები დაუპირისპირდნენ.

„ჭყონდიდელმა“ დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე და მესამე ადგილი დაიკავეს, მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი



ამასწინათ ქ. ხობში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქ. ხობის უბნებისა და მუნიციპალიტეტის სოფლების გუნდები, რომლებიც კენჭისყრის შედეგად ორ ჯგუფში ასპარეზობდნენ. A ჯგუფში იასპარეზეს ხობის ცენტრის, ჭავჭავაძის „სამოს“, „ჭალეს“ უბნისა და ახალის სოფლის ფეხბურთელთა გუნდებმა. B ჯგუფში ხეთის, ნოჯიხევის, ხობის მერცხალისა და ჭყონდიდელის უბნის გუნდები მონაწილეობდნენ.

დაძაბულმა თამაშებმა ნახევარფინალისტები გამოავლინა, რომლებიც ასე დაწყვილდნენ: ხობის ცენტრი-„ჭყონდიდელი“; „ჭალეს“-ხეთა.

ხობის ცენტრისა და „ჭყონდიდელის“ უბნის გუნდების შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა და მატჩის ძირითადი დრო ფრედ 4:4 დამთავრდა. პენალტების სერიაში გაიმარჯვა ხობის ცენტრის ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:4 და ფინალში გავიდნენ. „ჭალესა“ და ხეთელთა მატჩიც დაძაბულად წარიმართა და ისიც ფრედ 2:2 დასრულდა. პენალტების სერიაში ხეთელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება 3:2 და ფინალში გავიდნენ.

16 თებერვალს დათას

და სიგელი.

ფინალური შეხვედრა ხობის ცენტრისა და ხეთელთა შორის დაძაბულად მიმდინარეობდა. ხეთის გუნდის ფეხბურთელმა ლევან ხურცილავამ შეძლო გამარჯვების გოლის გატანა და მატჩიც 1:0 ხეთელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამრიგად, ხობის ცენტრის ფეხბურთელები დასჯერდნენ მეორე ადგილს, რომელთაც მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

პირველი ადგილი დაიკავა და დათა ხურცილავას სახელობის თასის მფლობელი



ზედიზედ მეორედ სოფელ ხეთის ფეხბურთელთა გუნდი გახდა, რომელთაც გადაეცათ დათას სახელობის თასი, დათას ოჯახის მიერ დაწესებული გარდამავალი თასი და სიგელი.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის.

საუკეთესო მეკარე გახდა-ლევან ჭითანავა (ხეთა); საუკეთესო მცველი-ლევან ხურცილავა (ხეთა);

საუკეთესო ნახევარმცველი-თორნიკე ტურავა (ხეთა); საუკეთესო თავდამსხმელი-გიგა ზაქარაია (ხობის ცენტრი);

საუკეთესო ბომბარდირი-ლევან ქაშიბაძე (ჭყონდიდელი);

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა-კოტე ალანია (ჭალე).

დაჯილდოების დროს მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დათას ხსოვნას.

დაჯილდოებას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, საკრებულოს წევრი ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე მალხაზ ლაგვილავა, საკრებულოს წევრი, სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ შუშანია, საკრებულოს წევრი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლაშა ცაბავა, საკრებულოს წევრი ფრიდონ შონია, გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის უფროსი ანტონ ვარდია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონ

ლევანი ლაშა სიჭინავა). პირველი ადგილი დაიკავა და რეგიონალურ ასპარეზობაზე თამაშის უფლება მოიპოვა პირველი მაისის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა (დირექტორი კობა კვიკვინია, სპორტის მასწავლებელი მერაბ ქანდარია).

ჭაბუკთა შორის მესამე ადგილი დაიკავა ხობის №1 საჯარო სკოლამ (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა).

მეორე ადგილზე გავიდა ჭალადიდის საჯარო სკოლა (დირექტორი ირმა ხარშილაძე, სპორტის მასწავლებელი პაატა ხეჩია).

პირველი ადგილი და ასევე რეგიონის პირველობის საგზური მოიპოვა საჯიჯაოს საჯარო სკოლამ (დირექტორი მაია შუშანია, სპორტის მასწავლებელი ლულუნი მიქავა).

პრიზიორები და გამარჯვებულები დააჯილდოვა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ნანა ბუკიამ.

გამარჯვებული სკოლები დააჯილდოვდნენ საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მიერ დაწესებული თასებით.

ორივე სკოლას უახლოეს მომავალში მოუწევს რეგიონის პირველობაზე ასპარეზობა.

წარმატებები ვუსურვოთ მათ.

მასალები მოამზადა ლევან ლემონჯავამ.

ფეხბურთი

ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის. შეჯიბრებაში გოგონათა 7 და ჭაბუკთა 12 გუნდი ასპარეზობდა. სამდღიანი დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ გამოვლინდნენ პრიზიორები და ჩემპიონები.

გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლამ (დირექტორი ნაზი ხასია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სერგია).

მეორე ადგილზე გავიდა ხობის №1 საჯარო სკოლა (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავ-



ლებელი ლაშა სიჭინავა).

პირველი ადგილი დაიკავა და რეგიონალურ ასპარეზობაზე თამაშის უფლება მოიპოვა პირველი მაისის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა (დირექტორი კობა კვიკვინია, სპორტის მასწავლებელი მერაბ ქანდარია).

ჭაბუკთა შორის მესამე ადგილი დაიკავა ხობის №1 საჯარო სკოლამ (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა).

მეორე ადგილზე გავიდა ჭალადიდის საჯარო სკოლა (დირექტორი ირმა ხარშილაძე, სპორტის მასწავლებელი პაატა ხეჩია).

პირველი ადგილი და ასევე რეგიონის პირველობის საგზური მოიპოვა საჯიჯაოს საჯარო სკოლამ (დირექტორი მაია შუშანია, სპორტის მასწავლებელი ლულუნი მიქავა).

პრიზიორები და გამარჯვებულები დააჯილდოვა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ნანა ბუკიამ.

გამარჯვებული სკოლები დააჯილდოვდნენ საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მიერ დაწესებული თასებით.

ორივე სკოლას უახლოეს მომავალში მოუწევს რეგიონის პირველობაზე ასპარეზობა.

წარმატებები ვუსურვოთ მათ.

მასალები მოამზადა ლევან ლემონჯავამ.

ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმში დაცული მასალები, ვგონებ საინტერესო იქნება მკითხველებისთვის. დღევანდელი წერილი არის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი მასალებით გაჯერებული, ხობელ მომღერალთა დინასტიის—ალანიების შესახებ.

ანდრი ალანია—დაიბადა 1879 წლის 5 იანვარს. თევდორე გვანის ძე ალანია, თოფის სროლით უკვე მეორედ აღნიშნავდა ვაჟი შვილის დაბადებას. ანდრი მოევლინა ოჯახს, სადაც მშობლები ერთურთს „თოლიგე“ და „შურიგეთი“ მიმართავდნენ. შვილებსაც საოცარი სიფაქიზით უყვარდათ მშობლები. სიმღერის სიყვარული მშობლებისგან გამოყვით ანდრისა და ერმილეს. ანდრი დიდი ნიჭისა და მეხსიერების წყალობით სიმღერას ადვილად იმახსოვრებდა, ერთი მოსმენით მას ადვილად შეეძლო ყველა ხმის გამღერება. პატარა ანდრი ალილოზე რომ დასძახებდა „ეჩლოხუთი თე თუთასი“ და „სადავოი კირიალესას“, სოფელში მის ხმას სცნობდნენ და

ტკბილად მგალობელს საგანგებოდ ასაჩუქრებდნენ კიდევ. 1886 წელს ის მიაბარეს გურიფულის გიმნაზიაში, სადაც მუშაობდნენ იმ დროისთვის სახელოვანი მასწავლებლები, მათ შორის იყო მირკური წურწუშია—უგანათლებულესი, კარგი მოქართულე და კდემამოსილებით აღსავსე ქალბატონი. მან თავიდანვე შენიშნა ანდრის ნიჭიერება. ხშირად ამღერებდა ძმებს და ანდრი და ერმილეც მთელი არსებით მღეროდნენ იმ დროისთვის ცნობილ სიმღერებს. 1890 წელს ანდრიმ წარმატებით დაამთავრა გიმნაზია. 1903 წელს სოხუმში სტუმრად ჩასული ანდრი სრულიად შემთხვევით მოხვდა ძუკუ ლოლუასთან რეპეტიციაზე. მან ძუკუსაგან მიიღო შეთავაზება ემღერა გუნდში, მაგრამ უარი თქვა უსახსრობის გამო.

ანდრის დედა მართა ობიშხიას ასული წურწუშია და ძუკუ ლოლუას დედა ჭამჭალა ჩიქვინიძე, მეგობრობდნენ. 1908 წელს ანდრი ქმნის ოჯახს ცაცუ ჩაჩიბაიასთან ერთად. ცაცუმ მშობლებისგან ისწავლა ხალხურ საკრავებზე დაკვრა. ის შესანიშნავი მეჩონგურე იყო. ცაცუსა და ანდრის 7 შვილი ჰყავდათ: ნინა, ვალერიანე, ვლადიმირი, დიდია, ხუტა, ჭიჭიკო, დავითი. სამწუხაროდ მათ სამი შვილი გარდაეცვალათ. ხუტა და ვალერიანი მეორე მსოფლიო ომიდან აღარ დაბრუნებულან. ანდრის შვილიშვილის ზაირა დავითის ასულის გადმოცემით ხუტა არნახული მომღერალი ყოფილა და ასევე შესანიშნავად უკრავდა როიალზე. მმის-

წული ბიქტორის ცნობით ხუტა გიტარაზე დაკვრის ხელოვნებას ფლობდა. სამწუხაროდ, ის ქერჩში დაიღუპა და მშობლები მთელი ცხოვრება ელოდნენ საყვარელ შვილს.

30-იან წლებში ხობში ჩამოყალიბდა რაიონული მხატ-



ხობელი ღოტბარ-მომღერლები (ალანიების დინასტია)

ვრული კოლექტივი. 1934 წელს პორფილე გაბელიას ხელმძღვანელობით გუნდი კონცერტებით გამოდიოდა ცხაკაიასა და ხობში. 1937 წელს ხობის გუნდი ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვიდა და გამარჯვება იხეიმა. აღსანიშნავია ის, რომ სიმღერა „ოდოიას“ პირველი შემსრულებელი ანდრი ალანია იყო და ასევე ძმებმა ანდრი და ერმილემ ანდრის მიერ შექმნილი „მალანური“ ერთად შეასრულეს, რასაც დიდი ოვაცია მოჰყოლია. პორფილე გაბელიას გარდაცვალების შემდგომ რაიონის გუნდი ჩააბარეს ანდრი ალანიას, მისგან სწავლობდნენ სიმღერას და ხალხურ საკრავებზე დაკვრას. მისი ხელმძღვანელობით მღეროდნენ: მ. ლატარია, შ. ფულარაია, ა. მეუნარგია, ი. ბერაია, ვ. შენგელია, რ. კალანდია და სხვები. მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა სიმღერის შესწავლის უნარი. სიკვდილსაც თურმე სიმღერით შეხვდა. მისი ბოლო ფრაზა ყოფილა „რინაშ ნება ქორდასუნი, ქიანა მუში მაფართა რე“ და ასე განერიდა წუთისოფელს 1966 წელს 84 წლის ლოტბარი.

ვლადიმერ (ლადი) ალანიას მამისგან გამოყვა მუსიკალური ნიჭი და თავდაპირველი განათლებაც მისგან მიიღო. ხალასი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი ადვილად უღებდა ალლოს ყველა საკრავს. ის ფლობდა ფანდურზე, ჩონგურზე, აკორდეონზე, სალამურზე, ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნებას. ლადი გურიფულის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს ხობის პირველ სა-

შუალო სკოლაში. შემდგომ სწავლას აგრძელებს თბილისის სამუსიკო სასწავლებელში საგუნდო-სადირიჟორო გაყონფილებაზე. მისი მასწავლებელი იყო ქართული-ხალხური სიმღერების მკვლევარი, შემგროვებელი და კომპოზიტორი გრიგოლ კოკელაძე. პედაგოგის გავლენა დიდი იყო მოსწავლეზე, ის გემოვნებით ასრულებდა ყველა სიმღერას. ამიტომაც მასთან სიმღერა ყველას უყვარდა. მისი მეგობრები იყვნენ მალაქია კვიკვინია, აპოლონ ლომთაძე, ლუდუკი ჩაჩიბაია, იროდი ალანია (ანდრის ძმისწული), ვაჟა აბაკელია, რადიკო ალანია, აპალონ ბუკია, ლიანა სიჭინავა, გული ხარებავა, მზია თუთბერიძე, ლიანა ლავილია, ნელი ბერაია, ვაჟა წურ-

ეზიით იქარვებდა. გვარის „მუსიკალურმა გენმა“ თავი იჩინა მისი შვილის—იროდი ალანიაში. რომელსაც „ხობის ბუღბუღს“ ეძახდნენ. ალექსანდრე ალანიასა და დესპინე ქვარცხავას შვილი იროდი დაიბადა 1919 წლის 29 აპრილს. მშობლები მას ანებივრებდნენ მუსიკალური ნიჭის გამო, ის ბიძისგან ითვისებდა სიმღერებს, საოცარი სმენის წყალობით ადვილად ისწავლა ფანდურზე, ჩონგურზე და ფორტეპიანოზე დაკვრა. შემდგომში სწავლა განაგრძო ზუგდიდის სამუსიკო სასწავლებელში. მან ცნობილი ლოტბარის გალაქტიონ ჭელიძის ხელმძღვანელობით ისწავლა ხალხური სიმღერების საუკეთესო ვარიანტები. მასთან მღე-

რეშე ვერ უყურებდა თამაშს. მას არც მეორე მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლი დაკლვია. იგი 1943 წელს მძიმედ დაჭრილი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. ომში გამოჩენილი სიმამაცის გამო დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. 1949 წელს იროდი ალანია მუშაობას იწყებს ხობის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი—ვასო ერემაძე), 1950 წელს გადადის ხორგის საშუალო სკოლაში (დირექტორი—ა. მირცხულავა), 1951 წელს ახალი სოფლის რვა წლიან სკოლაში (დირექტორი—ა. ნაროუშვილი). მან ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი და ხალხურ საკრავთა ორკესტრი. მას სკოლა ოლიმპიადაზე წარმატებით გამოჰყავდა. 1994 წლამდე ხელმძღვანელობდა ხობის კულტურის სახლის მომღერალთა ანსამბლ „შვიდკაცას“. იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არაერთი ფესტივალის ლაურეატი, ხობელთათვის საყვარელი პიროვნება. მის დაკრძალვაზე ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, მოდიოდნენ მისი კოლეგები, მე-



როდნენ: ვალიკო გელანტია, დათიკო, კოსტა და ვანიკო მესხიები, დომე კიტია, შოთა ბიგვაგა, ვოვა ჯორჯიკია. სრულიად ახალგაზრდა იროდი ბიძამ ანდრი ალანიამ მიუყვანა რემა შელეგიას სოფ. ხეთაში, ბატონი რემა იროდის ნიჭიერებამ განაცვიფრა. მოწადინებული ჭაბუკი გურიფულიდან ხეთაში რეპეტიციაზე ფეხით დადიოდა, რამეთუ რემა შელეგიას გუნდში სიმღერა დიდი სკოლა იყო. გუნდის რეპერტუარს ამშვენებდა მეგრული, აფხაზური, იმერული, გურიული, რაჭული, სვანური სიმღერები. რემა შელეგიას დიდი დამსახურება მიუძღვის მომღერალ ლოტბართა ალზრდის საქმეში. მასთან დაოსტატდნენ პორფილე გაბელია, ვაჟა აბაკელია, იროდი ალანია. იროდი ალანია ფიზიკურად ძლიერი, მოხდენილი ვაჟკაცი იყო, თამაშობდა ხობის რაიონის საფეხბურთო გუნდში, სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია სპორტისადმი სიყვარული. იგი ემოციების გა-

გობრები, მოსწავლეები, რათა პატივი მიეგოთ და უკანასკნელ გზაზე სიმღერით გაეცილებინათ მეგრული სიმღერის უზადო შემსრულებელი და ოსტატი, მრავალი თაობის აღმზრდელი იროდი ალანია.

დღესაც პატივით მინდა მოვისხენიო ალანიების მოდგმა, რამე თუ ყოველი აქ მოხსენიებული ლეტალი შესდგა მათი შთამომავლების დახმარებით, 2006 წლის საფესტივალო გამოცემებისთვის.

ნათქვამია, „როცა მთა არ მიდის მუჰამედთან, მუჰამედი მიდის მთასთან“, როცა მუზეუმს აკლია დამთავალიერებელი, საგახეთო პუბლიკაციებით გვინდა შეგახსენოთ წარსული, რამე თუ მომავალი წარსულისა და აწმყოს გარეშე არ არის.

მუზეუმი ბევრი საინტერესო მასალებით არის დატვირთული და ელოდება გულიანი ქართველების მოსვლას.

**ნანა ჯალაღონია,
ძუკუ ლოლუას
სახელობის მუზეუმის
დირექტორი.**

გაგონათსოვარი

ნობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობს შ.პ.ს. „ნობის მოამბეს“ ღირექტორს მერი ლაგვილაკას მამის

კირილე ლაგვილაკას

გარდაცვალების გამო.



ჩვენო მერი, შენთან ერთად განვიცდით და ვწუხვართ შენი საყვარელი მამის და ჩვენი რედაქციის აქტიური მხარდამჭერისა და გულშემატკივრის, როგორც ხშირად ვეუბნებოდით „რედაქციელების მამის“ (რადგან ჩვენ არცერთს არ გვყავს მამა) გარდაცვალებას. შენთან ერთად ვემშვიდობებით ბიძია კირილეს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა, ადამიანისთვის, რომელმაც მხრებით საუკუნე ატარა.

კუთანაგრძნობთ გულისა და მარიკოს.

რედაქციელები.

მშვიდობით, მეგობარო!

ჩემო კირილე, ძვირფასო!

თუმცა ვიცოდი შენი ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობა, ველოდი კიდევ ფატალურ ბოლოს, მაგრამ თავზარი დამცა ცნობამ შენი გარდაცვალების შესახებ. ვუსამძიმრებ შენს ქალიშვილებს, შენს საყვარელ შვილიშვილს.

მინდა შენ გესაუბრო, მოგაგონო ჩვენი მეგობრობის წლები, ერთად ჩატარებული ბევრი ღონისძიება, ჩემო კირილე! ხობს და ხობელებს, ქვალონსა და ქვალონელებს, ჩვენ, ხანდაზმულებს და ახალგაზრდებს ახსოვხარ შენ, ჩემო მეგობარო, შენი საქმეებით სკოლაში, სასოფლო საბჭოში, გულისხმიერებით ჭირსა და ღონში თანამშრომლობით, შენი ჯანსაღი ინიციატივებით, შენი თბილი და გულუხვი ოჯახური წვეულებებით, შენ იყავი, ჩემო მეგობარო, ხელმოკლე ოჯახების პატრონი, ობლების მამა, სწავლასმოწყურებულთა მოამაგე.

ახლაც თვალწინ მიდგას ქვემო ქვალონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, კოპწიად ჩაცმულ-დახურული მამაკაცი, თავისი მომხიბვლელი ღიმილით, საქმიანი იერით, სასიამოვნოდ სასურველი, რომელიც მუდამ მზად იყო გვერდით გყოლოდა ქვეყნის სასიკეთო საქმეთა კეთებაში.

შენს სანახავად მოსულმა, აცრემლებულმა დაგტოვე, მივხვდი, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ გქონდა. მშვიდობით, ჩემო მეგობარო, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

მშვიდად იყავი. ყველანი იქ ამოვალთ, შენ კი გვიმასპინძლებ შენთვის დამახასიათებელი გულუხვობით.

ნათელში გამყოფოს უფალმა!

ამინ!

მერი აბრამია.

მშვიდობით, მეგობარო!

სიკვდილმა ჩამოიარა და თან იწინამძღვრა კაცი ბერმუხა, გამორჩეული სიბრძნით, ზნეკეთილობით, სილამაზით, გულდინჯობით, სიღარბასილით, სიყვარულისა და ერთგულების დიდი ნიჭით, კაცი, რომელიც სამშობლოს ბედობაზე მუდმივად მოფიქრალი. იყო ეტალონი მეუღლეობისა, მამობისა, ბაბუობისა, ახალგაზრდებისადმი თანადგომისა...

იცხოვრა წუთისოფელში ღირსეულად და თითოეულ საფეხურზე დატოვა კვალი ნათელი. მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილმა კარგად შეიცნო ფუძემყარი ოჯახის სისხლის ყივილისა და ურთიერთთანადგომის და განათლების ფასი, პროფესიისადმი თავდადების, თანამდებობისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულების ფასი. თავკაცობის სიმძიმის ტვირთი ფინიშამდე ყოველთვის სასახელოდ უტარებია, მრავალი სასიკეთო საქმე

მშვიდობით, მეგობარო!

უკეთებია, ბოლომდე ახალი იდეების მატარებლად დარჩა. ნიჭს ყოველთვის შემოქმედებითად ფერავდა და ისეთ აზრებად ჩამოქნიდა, რომელიც ყოველთვის საინტერესო და ჭკუის განმავითარებელი იქნება.

ბავშვობიდან დღემდე მქონდა სიყვარულიანი და მეგობრული ურთიერთობა მასთან და მის ოჯახთან, მის ღირსეულ ქალიშვილებთან. მასთან ურთიერთობისას მიხილავს, როგორ უნდა გიყვარდეს და პატივი სცე მეუღლეს, როგორ უერთგულო, როგორ დააფასო ქალი, როგორ აღზარდო შვილები, როგორ არ უნდა აგრძნობინო უმამოს უმამობა, როგორ უნდა დაეხმარო მორალურად და მატერიალურად ახალგაზრდებს, როცა ეს სჭირდება და გზა გაუკვალ. როგორ უნდა დაედო მტლედ სხვის გაჭირვებას, როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, ჩუმად თესო სიკეთე, ბოლომდე დარჩი პატრიოტად. განა ცოტაა? ბევრი რამით

მშვიდობით, მეგობარო!

ვარ დავალებული თქვენგან...

ამბობდა, სიბერე ეკლის გვირგვინაო. ყოველთვის გისმენდი და გონების ქურაში ვატარებდი ნათქვამს, მაგრამ ვერ დავთანხმებით კირილე ბიძია, თქვენი სიბერე სიბრძნეა, ასაკი სიბრძნით განვლილი გზაა, მაგალითია, კაცურკაცობისა, სიყვარულისა, სიკეთისა. მასწავლებელია, ღირებულებების მატარებელია, უკეთურობაზე გამარჯვებაა.

მიღიხარ ვალმოხდილი ადამიანი იმქვეყნიურ სასუფლოში. უკან გრჩებათ ოჯახის ღირსეული მონაგარი-ქალიშვილები, შვილიშვილი, მრავალი დამფასებელი. თქვენი ღვაწლი სიცოცხლეზე მეტია, რადგან შექმენით ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

მიყვარხართ, უკვე მენატრებით, გემშვიდობებით, გვემასხოვრებით...

მშვიდობით, მეგობარო!

თალიკო კვარაცხელია

ბებერი მუხის ნაამბობი (ჩანახატი)

მსგავსი იმდროისათვის თითზე ჩამოსათვლელი გახლდათ.

- მერე რა მოხდა?
- გეტყვი ყველაფერს. მე მეგონა მუდმივად ვიქნებოდი, ლამაზი და ძლიერი, სასიამოვნო შესახედავი, ასე ფიქრობდა ალბათ ოჯახიც, მაგრამ მარადიული ქვეყანაზე არაფერი ყოფილა. ბოლოს ოჯახში არავინ დარჩა. მისი შვილები ამქვეყნად აღარ არიან, შვილიშვილები ქალაქში ცხოვრობენ. ვდგავარ, დავყურებ მიტოვებულ ოჯახს, სახლს, რომელიც ერთ დროს სიცოცხლით სავსე იყო, სახლს, რომელიც ბრწყინავდა. ბრწყინავდა მისი ეზო-კარი. დაღონებული და უფერული ღვას, რადგან შიგნით ადამიანის

ბებერი მუხის ნაამბობი (ჩანახატი)

სიცოცხლე არ არის. ძალიან დავჩანახადი, ფოთლები და ტოტები დამიმძიმდა, ძლივს ვსუნთქავ, მონია ულამაზო გაეხდი, არავის ვახსოვარ, ეგაა ზოგჯერ პატარები შეიკრიბებიან და რკოს აგროვებენ, სკოლაში მიაქვთ პირველკლასელებს, ხშირად კუკურის შვილიშვილები ნიკა და საბაც მესტუმრებიან, უკვირთ ჩემი სიდიდე. დღეს თქვენ მჯობინხართ! თქვენ დღესაც სიყვარულით გივლიან, მე კი ველოდები როდის მომჭრიან და ღუმელში შემაგდებენ. მენანება ჩემი თავი და უპატრონოდ მიტოვებული სახლ-კარი, ჩვენ ზოდ ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვხარობდით...

გამეღვიძა... საათს დავხედე. დამის 4 საათი იყო, ძილი გამიქრა, ფიქრი მომეძალა... გავიხსენე ჩემი

ბებერი მუხის ნაამბობი (ჩანახატი)

და ამ ოჯახის ურთიერთობა, გავიხსენე თითქმის ყველაფერი, მიუხედავად დიდად განსხვავებული წლოვანებისა, მე და პავლე ბავშვებით როგორ ვეთამაშებოდით ერთმანეთს. ძალიან თბილი მეზობლობა გვქონდა, მამაშვილური ურთიერთობა...

ამ ფიქრებში დამთენებოდა, დაღონებული ავდექი და გამახსენდა ჭკვიანი კაცის გამონათქვამი „ვიინა ღვაწლიც სიცოცხლეზე დიდია, მისთვის სიკვდილი სიცოცხლეს უდრის,“ დღესაც ცოცხლობს ეს ოჯახი და მისი შთამომავლობა – მეზობლებში და ნათესაობაში, მაგრამ იცვლება ცხოვრება, რადგან ყველა სახლი სასტუმროს გავს, დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, ხვალ კი სხვა, ეს ყველას უნდა გვახსოვდეს...

2006 წლის ოქტომბერი, სოფელი ქვემო ქვალონი.

ანდრე ჯოხაძე



ჩვენო ძვირფასო ადამიანო! დაცარიელდა ჩვენთვის სამყარო, მოულოდნელად წახვედი ჩვენგან და მით უფრო მძაფრია უიმედობით გამოწვეული ტკივილი. შვებას ამაოდ ვეძებთ, ვდგავართ შენს სურათთან და შენი ცხოვრების ყველა კუნჭულს ვიხსენებთ.

შენ შესანიშნავად იცოდი მეგობრობის ფასი და შენი ცხოვრების მანძილზე ეს არა ერთხელ დაგამტკიცებია. შენ ხომ უხვად იყავი დაჯილდოებული საუკეთესო თვისებებით, გქონდა სიყვარულის დიდი უნარი.

სევდა, ტკივილი, ცრემლი, მონატრება, ეს სიტყვები სრულად არ გამოხატავს იმ საშინელ გრძნობას, რაც თან ახლავს შენთან სამუდამო განშორებას.

უსპეტაკესი ბუნების მქონე, უღალატო მეგობარი, ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა.

ვერანაირი დრო იმ კაცურკაცობას ვერ მოერევა, შენ რომ უდიდეს სიმდიდრედ დაგვითვო, შეუხორცებელია ის ღრმა იარა, რომელსაც ანზორ ჯოხაძეს არ ყოფნა ჰქვია.

დაე! უფალმა მარადიული სასუფელი დაუმკვიდროს შენს სულს. დაე! ბუმბულივით მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა. მშვიდობით!..

* * *

ოჯახი.

გემადლიერებით!

ანზორ ჯოხაძეს ოჯახის სახელით, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ხობის მუნიციპალიტეტის მთელს საზოგადოებას, რომლებიც დიდი მოწიწებით გამოეთხოვნენ ანზორ ჯოხაძეს ცხედარს.

კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ყველას.

ლელია ლატარია

ანრი ჯგერაძე



სიხარული და ბედნიერება მწარე ცრემლებმა შეცვალა, შენ ჩვენთან აღარ ხარ. დაუნდობელმა ბედისწერამ წაგვართვა შენი თავი, ჩვენო ფრთა-შესხმულო ანგელოზო.

12 წლის გახდებოდი 12 მარტს, როგორ ელოდი ამ დღეს, როგორ გიხაროდა ოქროს დაბადების დღე, ჩვენ ძალიან გვიმძიმს უშენოდ, როგორ უეცრად დაატყდა უბედურების ქარბორბალი ჩვენს ოჯახს, როგორ უეცრად გადაწყვიტე ჩვენგან წასვლა.

შენი წმინდა სული ზეცაში უფალთან და ანგელოზთა გუნდთანაა. ალბათ, იქიდან დაგვცქერის და სწუხსხარ, რომ ასე სასოწარკვეთილს გვხვდავ, რა ცოტა დრო გვაკმარა უფალმა ერთად ყოფნისთვის. აღარ ვიცით რა ვქნათ უშენოდ. ასეთ გლოვაში გასტანს მთელი ჩვენი ცხოვრება.

შენი ღაიკო ნინო.



შვილები მარინა, ავთანდილი, შვილიშვილები ნიკა პაპუაშვილი, ნოდარი, ავთანდილი და სანდრო ფაჩულიები, და ლია, მული ნელი ფაჩულია, ძმისშვილები რუსლანი, თორნიკე, ნონა, ზურაბი ხაზალიები, დისშვილები ტასო და კახა კოდუები, მულისშვილები ნატო, ნინო, ვეფხია სორდიები, დეიდაშვილები მიმოზა დადუა, გულადი აბრამია, დარეჯან ხასია, რძლები ნანა მილიუტინი, მადონა ცქირია, მზია დოლბაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მზია საზალია-შაჩუღია

დაკრძალვა ქ. ხობში, სამშაბათს, 15 მარტს. გამოსვენება ქ. ხობი, სტალინის ქუჩა 17-დან.

წერილობითი შეტყობინება არ იქნება.

ნოდარ ჩიბაია

ხობის საზოგადოებას ნაადრევად დააკლდა ღირსეული ქართველი, თავის ერზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება ბატონი ნოდარ ბარდას ძე ჩიბაია.

ნოდარი ბავშვობიდანვე გამოჩენილი პიროვნება იყო. სკოლაში სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩეოდა. მან წარმატებით დაამთავრა ხეთის საშუალო სკოლა. შემდეგ ჩაირიცხა ქ. თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წითელ დიპლომზე დაამთავრა.

ნოდარ ჩიბაიამ უმაღლესი განათლების შემდეგ, სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვში. ჩაირიცხა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. ზუგდიდში ეკონომიკის სამეცნიერო ინსტიტუტში, სადაც წარმატებით აგრძელებდა სამეცნიერო საქმიანობას. იყო ხობის პრეფექტის ბატონ თენგიზ ქაჯაიას მოადგილე ეკონომიკის დარგში.

ნოდარ ჩიბაია იზრდებოდა უპირველესად წესიერ, ინტელექტუალურ ოჯახში. მამა ბარდა ჩიბაია, იყო ომის ვეტერანი, საბრძოლო დიდების ორდენების კავალერი. დედა ცუცა კვიკინია-პედაგოგი, ათასობით ახალგაზრდის აღმზრდელი, ათეულ წელზე მეტ ხანს ემსახურა იგი თავის ხალხს და ახალგაზრდობას. იყო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ნოდარის დარჩა შესანიშნავი ოჯახი-მეუღლე მაია ჩიბაია და ერთადერთი ვაჟიშვილი ზურაბი. ზურიკო სწავლობს ფოთის №5 საჯარო სკოლის დამამთავრებელ კლასში და არის ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე. ოქროს მედლის კანდიდატი.

ნოდარის ძმა ზურაბი, რომელიც თავგადაკვდარი იყო თავის ძმაზე, მას არაფერს აკლებდა, რომ თავი კომფორტულად ეგრძნო. ზურაბი ორათეულ წელზე მეტია, რაც მოსკოვში მოღვაწეობს. ყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი რომლებსაც ქართული სულისკვეთებით ზრდის. შვილებმა გამართულად იციან ქართული ენა.

სულთანა



ნოდარი ბოლო წლებში მოღვაწეობდა ქ. მოსკოვში თავის ოჯახს მოწვევითი, რაც მისი დიდი გულისტკივილი იყო.

ნოდარ! შენმა ნაადრევად წასვლამ თავზარი დაგვცა შენს სანათესაოს. რა საწყენია, რომ შენ ვერ ხვდები შენს დაბადების დღეს-8 მარტს. შენ შევისრულდებოდა 58 წელი.

ძმაო, ნოდარ, გული გვწყდება, რომ უშენოდ აღვნიშნავთ ამ თარიღს შენი მეგობრები და სანათესაო. ჩვენ მოვალთ შენს საფლავზე და იქ მოგილოცავთ დაბადების დღეს.

შენი ოჯახი-მეუღლე, შვილი ზურაბი, შენი ნათესავები, ახლობლები, არასოდეს დაგვიწყებთ. სამწუხაროდ, უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების მომავალ დღეებსაც.

დიდი სიყვარულით შენი ბიძაშვილი ბიბლა კვიკინია.

გიორგი საჩხაძე-კახაძე

ნაღვლიან მოგონებად დაურჩება ხამისქურის საჯარო სკოლის პედკოლექტივსა და აღსაზრდელებს 2016 წლის 16 თებერვლი. სწორედ 16 თებერვალს შეწყდა ღირსეული ქალბატონის, გამორჩეული მეგობრისა და შესანიშნავი აღმზრდელის, მზიური მასწავლებლის გულისცემა. არადა, გული მუდამ სიკეთის კეთებისთვის, უანგარო თანადგომისთვის უცემდა ამ არაჩვეულებრივ ქალბატონს.

სხვისი ტკივილი გულთან ახლოს მიჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში მძიმე ხვედრი იწვნია, როგორც აფხაზეთიდან დევნილმა. საკუთარი სატიკივართი მაინც არავის აწუხებდა.


ამჯერად თბილისში გეგმავდა წასვლას ახალშობილი შვილიშვილის სანახავად, მაგრამ ბედმა სხვანაირად განსაჯა. დიან, მოულოდნელი იყო ჩვენთვის მისი უკანასკნელი წუთების სიახლოვე. ამიტომაც არ არის ჩვენთვის მარტივი მზიური მასწავლებელზე წარსულ დროში საუბარი. ასეთი ურთიერთობით განებივრებულებს, გვიჭირს მასზე გამორჩეული

სიტყვების თქმა.

ოთხი ღირსეული შვილის, შვიდი შვილიშვილისა და ათეულობით ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი, თბილი, მუდამ ღიმილიანი, გაწონასწორებული, მისეული ყველა თვისებით საოცრად მომხიბვლელი ქალბატონი, რომელიც მხოლოდ სიკეთეს თესავდა. ვიგონებთ მას და გვიჭირს დაჯერება იმისა, რომ ჩვენ გვერდით აღარ იქნება, მისთვის ჩვეული ღიმილიანი მზერით აღარ შემოგვეგებება, საჭიროებისას მისთვის დამახასიათებელი მოზომილი დარიგებებით აღარ გაგვანებივრებს...

ტკივილს გვიორმაგებს მზიური მასწავლებლის პაწია აღსაზრდელების განცდები. უჩვეულო სიწყნარეა მის სადამრიგებლო კლასში. პატარები საყვარელ მასწავლებელზე საუბრისას ცრემლებს ჩუმად იწმენდენ, მასწავლებლის საშუალო მაგიდის ირგვლივ ფუსფუსებენ და ყვავილებით ამკობენ.

არ არის პატარა საქმე, ყველას გულში დაიმკვიდრო აღ-



გილი, ყველასთან მხოლოდ სიყვარული დათესო. ამას ახერხებდა მზიური მასწავლებელი და გადაჭარბებული არ იქნება იმის აღიარება, რომ პედაგოგად მოღვაწეობის ათეული წლების განმავლობაში აღსაზრდელებსა და კოლეგებს შორის მხოლოდ უსაზღვრო სიყვარულითა და მოწიწებით სარგებლობდა. მისი სახელი მარად სასიამოვნო მოსაგონარი იქნება ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონია მზიური მასწავლებელთან.

ღმერთმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს ამ საოცარ ქალბატონს.

ხამისქურის საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

ლამარა, ნუგზარ და მარინე შონიები თანაუგრძნობენ მარინა და ავთანდილ ფაჩულიებს დედის

მზია საზალია-შაჩუღიას

გარდაცვალებას.

მაია და თამრიკო გერგაიები ოჯახებით, ნატო და ბადრი გერგაიები თანაგრძნობას უცხადებენ შორენა ბუკიას, ვიქტორ და გიორგი დიდიშვილებს მეუღლისა და მამის

თამაზ დიდიშვილის

გარდაცვალების გამო.

ა უ მ ბ ი მ ბ ე

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს
აუქციონს
ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
დანართი №1

N	შენიშვნა	მისამართი	სართული	ფართობი	სარგებლობის ფორმა	საბაზო ღირებულება (ლარი)	საუჯარო ქირა წელიწადში 30%	საუჯარო ოქრა (3 თვე)	„ბე“ 10%	„ბე“ 20%	ბილეთი საფასური (ლარი)
1	ადმინისტრაციული შენობა	ქ. ხობი (კოჭენი) დღიანის N185	IV	3068	ფარა	2055.56	616	51	5.1	5.1	20
				1925		1289.75	387	32	3.2	3.2	20
				189		1266.30	381	320	3.2	3.2	20
				189		1266.30	381	320	3	3	20
				9.1		609.70	183	15	1.5	1.50	20
				6.6		442.20	132	11	1.10	1.10	20

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დღიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 11 აპრილი. 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო-707017021, მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინამდებე შემთხვევაში

ვაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი გასაყიდ ფასზე ბიჯის დანაშაულის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი-ლამხირა თოდუა. ტელ-599-85-60-91

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა



სამუხიჯო სკოლის პედაგოგებს!

„მე თქვენ მიყვარხართ, იას გადარბით, მთელი ცხოვრება თრთობით მაცაბოთ. მმარტი დგება, მზე სხივებს აფრქვეს, ჩიტი ჭიჭიკებს, ცოცხა მაცალეთ. მე თქვენ მიყვარხართ და მზეს გადარბით, თქვენი ცხოვრება ძლიერ მახარებს.“

მე თქვენთან ერთად მზავალი ქალი ვიარ. სითმ და სიყვარული აბ დამკლავია თითოეული თქვენთაგანისგან. მზავალი 8 მარტი და გაზაფხული ერთად გაგვიცაბრებია. მაგამ ქლში მთმძალა და მეც დავცოქე ის ჩვენი თმილი კრბა, ბთმლიც თქვენთან მაკავშირბდა, ახლა სეყდა მთმძალა, სულ თვალწინ მიდგას ის უბთიერთმბში, ბთმლსაც ვრბასდბბ ვრბ დავივიწყბ.

ბვიბთვას მეგბბრბმ, ბალიან, ბალიან მიყვარხართ. გილმცავთ 8 მარტს და გისურვბთ უბრბმლ ბყცას. ბდბნიბრბა ყბთილიყბს ყვლა თქვენთაგანის მეგბრბი.

მე თქვენ მიყვარხართ!

სბმის განათბულ ბრბრბში დაამბჯბს ბბი სანდბმბანი ადამბანი, ბალბაცბნი ლუბბა გბგილავა და ბაცბნი ლუვან ბავთბბბბ. მათ უსაზღვრბ ბდბნიბრბით საყს ღბმბილი ახაცბათ სახბჭ. უსაზღვრბ მიყვარბ და მბმბდრბა ეს ბჯახბ, ბბმლთბნაც ნათლბ-მბბბბბა მაკავშირბს. აბ აბსბბბს ქუთბ და ქამბ. მათბ უბბრბბ, ბბმ აბ ესყბდბნ ჩბს გულს, მათ ბდბნიბრბ ბჯახბში, სადაც მსბლბდ ადამბბნთა მკურბნალი ხლი აბსბბბს, აბა მბბცბ სლუბით აბამბდ სლუბთაც კურბნავნ ადამბბს.

ქლში გადბს, თქვენ ბალბაცბნლ ლუბბა და ბაცბნლ ლუვან ბბი შვილი აღზბბრბთ. ვაქბშვილი თქვენს პბბლუბბას დაუბლბ, აბბს კბრბი ბბბბ, ბბბლი ნათბა სალაყბბა ახლაბდამწყბბი ბბბბბა. ბჯახბ მზავალბრბა, ხბბთ ბბბი შვილიშვილის ბბბბა და ბამბა.

ბბდ ქბრბაცბბბს ვუსურვბ. თქვენს ბჯახს... ბხბრბთ, ბბბავლბთ.

„მე თქვენ მიყვარხართ მე თქვენ გაყასბბთ, ღბმბილი გაყსბბთ, სბკბთუ ცვივა, ახლა თქვენთან ვბრ, ჩბმ კბრბგბმ და აბ ბბბბრბთ. ბბმ ბლბს მე მბბვა, ბბდგბნ თქვენ მყავხბრბ ღბბრბთბდ, ბბბბდ, ამბცბმ უკვე სული აბ მცვივა.“

აკბბბბბბბბბთ და სბმვბრბლბთ ნბნული კბრბბბა.